40
1979/2

ISSN 0132 — 5973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

6
1979



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნორჩების გამრჯე ხელებით

**მირონ ხერგიანი**

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 109-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაში მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას. კიდევ უფრო გალამაზდნენ საქართველოს ქალაქები და სოფლები. გაზაფხულის ამ ღირსშესანიშნავ დღეს ახალი ტყის კორომები, სკვერები და სასიამოვნოდ მოშრიალე ხეხილის ნარგავები შეემატა ჩვენს ქვეყანას, მეტად საჭირო ნედლეული — ასობით ტონა ჯართი და ქაღალდის მაკულატურა ჩაბარდა ფაბრიკა-ქარხნებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქუჩებისა თუ ორგანიზაცია-დაწესებულებების, ცალკეული უბნებისა და ეზოების, ასევე ქალაქებისა და სოფლების გარეუბნების კეთილმოწყობასა და გალამაზებას. ერთბაშად იცვალა სახე მთელმა რესპუბლიკამ, საგაზაფხულოდ გამოკოპწიავდა, მოირთო საქართველოს მთა-ბარი, მისი ბუნება, დედა თბილისი...

მეექვსეკლასელები — რაზმის საბჭოს თავმჯდომარე მაია მარხვაშვილი, ნინო ბერიძე, ირმა დოლენჯაშვილი და მეორეკლასელი თამრიკო შალამბერიძე ეგრეთ წოდებულ „შიდა უბანზე“ საქმიანობენ. საკლასო ოთახის დასუფთავება და წესრიგში მოყვანა არანაკლებ მნიშვნელოვან საქმედ მიუჩნევიათ.

და რაოდენ სასიამოვნოა იმისი გაფიქრებაც კი, რომ ამ „სასწაულებრივ მეტამორფოზაში“ უფროსებთან ერთად თავისი არცთუ მოკრძალებული წვლილი მიუძღვის ჩვენს მომავალ თაობას, მოსწავლე ახალგაზრდობას...

თუ კი წარმოვიდგენთ, რომ მთელ რესპუბლიკაში ასობით საშუალო და რვაწლიანი სკოლა არსებობს, სადაც ათასობით კომკავშირელი, პიონერი და ოქტომბრელი ეუფლება ცხოვრების სიბრძნეს, ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რა გრანდიოზულ ძალას წარმოადგენს ნორჩების ერთიანი შემართება, მათი შესაძლებლობისა და მოწადინებულობის ერთიანი მიზნისაკენ წარმართვა...

ჩვენ შევეცადეთ ყოველივე ამის შესახებ მოგვეთხრო ფოტორეპორტაჟით ერთი სკოლის მოსწავლეახალგაზრდობის შრომითი საქმიანობის მაგალითზე. ეს გახლავთ თბილისის 26-ე საშუალო სკოლა თავისი შვიდასი აღსაზრდელით, ცხრა რაზმითა და იური გაგარინის სახელობის პიონერული რაზმეულით; ასევე, რა თქმა უნდა, კომკავშირელებით და იმათ გზას გამოდევნებული ნორჩებით — ოქტომბრელებით...



მესამე „ბ“-კლასელმა მოსწავლემ ზვიად გელიაშვილმა ისეთ „განძს“ მიაგნო, რომ გამოჩენილ ოქროსმაძიებლებსაც შეშურდებოდათ. მან სადღაც მსუბუქი მანქანის მთლიანი ძარა აღმოაჩინა. „ალაფის“ დაბინავებაში სიამოვნებით მიიღეს მონაწილეობა მერვეკლასელებმა — მარინა ბუზიაშვილმა და დალი ჯაგოდნიშვილმა, მეცხრე კლასის მოსწავლემ მარინა გაბოიანმა და სხვებმა.



„ბუნების ნორჩი მეგობრები“ თავიანთ საქმეს შესდგომიან:

მეხუთეკლასელები — მეექვსე რაზმის მეღროშე გოჩა კერესელიძე, დათო თარაშვილი, ანდრო არუთინიანი და რაზმის საბჭოს წევრი, მეშვიდეკლასელი რომან ზაალიშვილი სათუთად აფხვიერებენ ნაგარს.



მესამე კლასის მოსწავლემ თამაზ არჩვაძემ და მისმა მეგობრებმა გამარჯვებულის იერით შემოარახრახეს სკოლის ეზოში თავიანთი ნადავლი...

„ამ ხარახურიდან ქარხანაში თვითმფრინავებსა და ტრაქტორებს გააკეთებენ...“ — თავმომწონედ განუცხადა თამაზმა უფროსკლასელებს...

წარმოვადგინოთ 26-ე სკოლელების ნამოღვაწარი იმდენ ხარისხში, რამდენი საშუალო სკოლაც მთელს რესპუბლიკაშია, და ჩვენ მივიღებთ მიახლოებით წარმოდგენას „ნორჩების საგმირო საქმეებზე“... და ამასთანავე ნათლად გავერკვევით „სასწაულებრივი მეტამორფოზის“ საიდუმლოებაში...



ოქტომბრელებს ქაღალდის კონტეინერი დაუყენებიათ. „ამდენ მაკულატურას, რა სათავსო დაიტევს“, — გაიძახის მესამეკლასელი ნორჩი „მესაწყობე“ ინგა სარქისიანი.

ფოტო ვ. ბორისენკოსი

გამოდის 1926 წლიდან

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

6 ივნისი 1979

საქ. ალკკ ცკ-ის გამომცემლობა

I 6180

1979 International
Year of the Chid

# ზრუნვას დაფასება უნდა

1979 წელი ბავშვის საერთაშორისო წელიწადია.

ჯერ კიდევ 1924 წელს ბავშვთა უფლებების დაცვის ჟენევის დეკლარაციამ, ხოლო შემდეგ, 1959 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციამ აღნიშნეს, რომ მსოფლიოს ბავშვთა ცხოვრება გადაუდებელ, აუცილებელ მოწესრიგებას საჭიროებს: ბავშვებს უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს სრულყოფილ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ განვითარებას; ბავშვი, ხვალინდელი მოქალაქე, თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან და მისი კანის ფერის, ეროვნების თუ რელიგიური მწრამსის მიუხედავად ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის, ხალხთაშორის მეგობრობის, მშვიდობისა და საყოველთაო ძმობის პირობებში უნდა იზრდებოდეს.

მაგრამ დეკლარაციის გამოქვეყნებიდან განვლილ 20 წელს უცხოელ ბავშვთა ცხოვრებაში არსებითი ცვლილებები არ შეუტანია. განვითარებად ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, სადაც ბავშვები ათასგვარ დაავადებას, შიმშილს, უმეცრებასა და სილატაკეს ეწირებიან, არც განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშია უკეთესად საქმე.

სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1976 წლის 21 დეკემბრის 31-ე სესიის გადაწყვეტილება — 1979 წლის გამოცხადება ბავშვის საერთაშორისო წელიწადად.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი ჟურნალის რედაქციამ რამდენიმე კითხვით მიმართა ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს, პროფესორ ნინო ჯავახიშვილს.

ქვემოთ ვბეჭდავთ ამ საუბრის ჩანაწერს.

**— ქალბატონო ნინო, თუ შეიძლება გვიამბეთ, რა მიზანი აქვს წლევანდელი წლის გამოცხადებას ბავშვის საერთაშორისო წლად და რა და რა ორგანიზაციები მიიღებენ მონაწილეობას ამ მიზნის განხორციელებაში?**

— გენერალური ასამბლეის ზემოხსენებული გადაწყვეტილება დიდმნიშვნელოვანი აქცია გახლავთ. მისი დანიშნულებაა მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრისა და ძალების მობილიზება ბავშვთა უფლებების დეკლარაციით გათვალისწინებული პრინციპების განსახორციელებლად.

ბავშვის წელიწადისათვის სამზადისში იმთავითვე ჩაება ორ ათეულზე მეტი მსხვილი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია — მშვიდობის მსოფლიო საბჭო, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია და ა. შ. თითოეულ მათგანს განსაზღვრული აქვს საკუთარი მოქმედების სფერო. შრომის საერთაშორისო ფედერაციამ, მაგალითად, ივალდებულა შეისწავლოს და განსაზღვროს მცირეწლოვან მუშათა შრომისა და ყოფის პირობები, ეძიოს მათი განათლებისა და პროფესიული ზრდის ოპტიმალური საშუალებანი, დასახოს ბავშვთა მძიმე შრომის ლიკვიდაციის ღონისძიებანი. იუნესკო შეისწავლის მოზარდის მატერიალური კეთილდღეობის, ჯანმრთელობის, განათლების და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს, ყურადღებას ამახვილებს ლტოლვილ ბავშვთა მდგომარეობაზე, განვითარებადი ქვეყნების ბავშვებისათვის საერთაშორისო დახმარების გაძლიერების საკითხებზე.

**— ერთმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას „დედათა საკრებულო“ უწოდა. იქნებ გვიამბოთ, რა კონკრეტულ ღონისძიებებს ატარებს ეს ორგანიზაცია ბავშვის საერთაშორისო წელს?**

— ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, მისი ეროვნული ორგანიზაციები, სხვადასხვა სპეციალიზებულ დაწესებულებებთან ერთად, აწყობენ სემინარებს, კონფერენციებს, საუბრებს მრგვალ მაგიდასთან, იკვლევენ და იხილავენ ბავშვთა მდგომარეობას სხვადასხვა ასპექტში. ბავშვის საერთაშორისო წელიწადისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარეა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარე ფრიდა



ნინო ჯავახიშვილი

ბრაუნი. კომიტეტის პირველმავე სხდომამ შეიმუშავა პროგრამა კონფერენციისა, რომელიც 7-11 სექტემბერს ჩატარდება მოსკოვში. კონფერენცია განიხილავს საკითხთა ოთხ ძირითად წრეს: 1) ეკონომიკური, სოციალური და იურიდიული პირობები, რომლებიც აუცილებელია სიცოცხლეზე, ჯანმრთელობის დაცვაზე, კეთილდღეობაზე ბავშვთა უფლების განსახორციელებლად; ბრძოლა ბავშვის შრომის ექსპლოატაციის წინააღმდეგ; ბავშვების უფლებათა დეკლარაციის განხილვა და კონვენციის შემუშავება; 2) ყველა ბავშვის თავისუფალი, სავალდებულო განათლება; ბავშვთა აღზრდა მშვი-



კ. მარქსის სახ. საქ.
სსრ. სახელმწიფო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა

დობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მეგობრობის სულისკვეთებით; საზოგადოების პასუხისმგებლობა, ოჯახის როლი, კულტურული დასვენებისა და სპორტის მნიშვნელობა, ინფორმაციის როლი მოზარდის პიროვნების ყოველმხრივ განვითარებაში; 3) სოლიდარობა ბავშვებთან, რომლებიც ცხოვრობენ განსაკუთრებით მძიმე სოციალურ და პოლიტიკურ პირობებში (შეიარაღებული კონფლიქტების, კოლონიური ჩაგვრის, რასისტული რეჟიმის პირობებში, ადგილგადანაცვლებული და ემიგრანტთა ოჯახები); 4) ობლების, ფიზიკური და გონებრივი მანკის მქონე ბავშვების დახმარება.

კონფერენციის ჩარჩოებში ჩატარდება ახალგაზრდობის ფორუმი და სპეციალური ინტერესების მქონე სხვა ჯგუფთა მრავალრიცხოვანი შეხვედრები, რაც შექმნის თავისუფალი და ფართო დისკუსიის პირობებს. ასეთი შეხვედრები მოეწყობა პარლამენტის წევრებისათვის, იურისტებისათვის, განათლების მუშაკთათვის, მწერლებისათვის, მსახიობებისათვის და ა. შ.

**— ეს — საერთაშორისო მასშტაბით, მაგრამ ჩვენში, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში, რის გაკეთებაა განზრახული?**

— მოგახსენებთ. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შეიქმნა ბავშვის საერთაშორისო წლიწადის ჩამტარებელი ეროვნული კომიტეტები. საბჭოთა კავშირში ასეთ კომიტეტს სათავეში უდგას სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ტიხონოვი. მოძმე რესპუბლიკებში მუშაობენ რესპუბლიკური კომისიები.

საქართველოში ბავშვის საერთაშორისო წლიწადის ჩამტარებელ რესპუბლიკურ კომისიას ხელმძღვანელობს საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია. კომისიამ შეიმუშავა საქმიანობის კონკრეტული გეგმა: ნავარაუდევია ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ჩატარება (მოხსენებების, ლექციების წაკითხვა, საუბრების გამართვა, კინოფილმების ჩვენება; გამოფენებისა და თემატიკური საღამოების მოწყობა). ეს მუშაობა ასახავს საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის ზრუნვას მოზარდზე, ზრუნვას მისი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, ბედნიერი დედობისა და ბავშვობის უზრუნველყოფისათვის. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, 1 ივნისს, ფართოდ ჩატარდა ბავშვთა დღესასწაული დევიზით: „დაე, მუდამ იყოს მზე! რესპუბლიკის გაზეთები, ჟურნალები, ტელევიზია, რადიო სისტემატურად აშუქებენ საბჭოთა კავშირის მიღწევებს მოზარდი თაობის ყოველმხრივი, ჰარმონიული აღზრდის, დედათა და ბავშვთა დაცვის საქმეში. ეწყობა საუკეთესო საბავშვო ფილმების დემონსტრაცია, ჩატარდა საბავშვო წიგნის, საბავშვო მუსიკის, ბავშვთა ნახატების კვირეულები, ბავშვთა თვითმოქმედების დათვალიერება.

რესპუბლიკური კომისია მონაწილეობას მიიღებს ქალის შრომის, საყოფაცხოვრებო და დასვენების პირობების საზოგადოებრივ დათვალიერებაში, საწარმოებში მოზარდთა შრომის პირობების, მათი პროფესიული, ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლების სამუშაოთა საკავშირო დათვალიერებაში; ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ შესრულდეს 1979 წლის (და მთლიანად მეათე ხუთწლედის) გეგმა სასკოლო და საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის დარგში; შემოწმდება იმ საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა საქმიანობა, რომლებიც ემსახურებიან ბავშვებს, იმ მაღაზიათა მუშაობა, სადაც იყიდება საბავშვო საქონელი და ბავშვებისათვის განკუთვნილი კვების პროდუქტები; სკოლამდელ დაწესებულებებში, საბავშვო პოლიკლინიკებში, ქალთა კონსულტაციებში სისტემატურად მოეწყობა მეცადინეობა და კონსულტაციები მშობლებისათვის; გაიზრდება სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში საოჯახო საგზურთა რაოდენობა.

**— ეს ჭეშმარიტად გრანდიოზული სამუშაოა. მართლაც, შეიძლება ითქვას, დღე არ გაივლის ისე, რომ ბავშვის საერთაშორისო წლიწადის აღსანიშნავი რაიმე ღონისძიების მოწმენი არ გავხდეთ.**

**ქალბატონო ნინო, ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ ბევრს მოგზაურობთ. რას გვეტყვით უცხოელი ბავშვების ცხოვრებაზე?**

— გასული წლის ბოლოს მიწვეული ვიყავი კუნძულ რეიუნიონზე. რეიუნიონის ქალთა კავშირის მეხუთე კონგრესში მონაწილეობისათვის. ეს კუნძული ინდოეთის ოკეანეში მდებარეობს, საფრანგეთის ყოფილი კოლონიაა, ახლა კი მის ზღვისიქითა დეპარტამენტად ითვლება. თუმცა კოლონიალიზმის ტვირთისაგან ჯერაც ვერ გათავისუფლებულა: დაბალია აქაურ ბავშვთა ცხოვრების დონე; ბევრი მოზარდის ოჯახი დაჭყლეტილი ბიდონის ფურცლებისაგან შეკოწიწებულ ქოხმახებში, მძიმე ჰიგიენურ პირობებში ცხოვრობს: ძალზე მცირეა ბავშვთა ბაგები და ბაღები; განათლების ორგანიზაციაში იგრძნობა დისკრიმინაცია; მოსწავლეები სკოლაში მშობლიურ ენაზე კი არა, ფრანგულ ენაზე სწავლობენ. მთელ კუნძულზე სკოლებში მხოლოდ 2000 ბავშვისთვის არის ადგილი, მაშინ, როცა 10 ათასზე მეტია საჭირო.

ასეთივე მდგომარეობაა სხვაგანაც, სადაც მე ვყოფილვარ — გვადელუპაში, ნეაპოლში, ჩილეს დედაქალაქ სანტ-იაგოში... არც განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშია საქმე უკეთესად და ეს არც არის გასაკვირი: აშშ-ში პენტაგონი, მაგალითად, ერთი ატომური წყალქვეშა ნავის აგებისათვის იმდენ თანხას ხარჯავს, რამდენიც უზრუნველყოფდა 1.800.000 მოზარდის მეცადინეობას ერთი წლის განმავლობაში...

ჩვენთან კი — და ეს ყოველმა საბჭოთა მოზარდმა იცის — ყველაფერი ბავშვს ხმარდება. ყველაფერი მის სასიკეთოდაა გამიზნული. რაღა თქმა უნდა. ეს დიდი მუშაობა. რომელიც მიმართულია ჩვენი მომავალი თაობის ბედნიერი მყოფადის უზრუნველსაყოფად. მარტო წლევანდელი წლით არ შემოიფარგლება. საბჭოთა ქვეყანა კვლავაც დაუღალავად იზრუნებს თავის ნორჩ მოქალაქეთა ღირსეულ პიროვნებებად აღზრდისათვის. და ეჭვიც არ მეპარება. რომ ჩვენი წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები ჯეროვნად დააფასებენ ამ მშობლიურ ზრუნვას. გაამართლებენ უფროსთა იმედებს. ისწავლიან ბეჯითად. გაიმდიდრებენ ცოდნას და მსოფლიოს ყველა პატიოსან მშრომელთან ერთად იბრძოლებენ პლანეტის უკეთესი მომავლისათვის.




საუბარი ჩაიწერა
ნუგზარ აფხაზავამ




ოთია იოსელიანი მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე

## ორი მათხოვრის ამბავი

ერთ ნავსადგურს მივადექი. მშია — წელები მერჩევა. აქაური არც წყალი დაილევა!.. თავს არ დავეძებ, მტრედები დამიწყდება. კარგად იცით, ფული არ გამაჩნია და ოქრო-ვერცხლი, ნაცნობი აქ არა მყავს და ნათესავი. თანაც იმდენი მათხოვარი ირევა, რომ გამიწყდეს ღმერთი და ხელი გავიშვირო, ვინ რას მომაშავებს.

ჩავლასლასდი სანაპიროზე და ქვიშაზე დავეგდე, იქნებ ზღვის შრიალში როგორმე ჩამეძინოს-მეთქი.

თვალმოხუჭულს, მისავათებულს არ დამინახავს საიდან მოლოღდნენ, — ჩემს ახლოს ორი მაწანწალა ჩამოჯდა. ცალი თვალით გავხედე. ერთი გამხდარი იყო, ძვალი და ტყავი, ჩამოხეულ-ჩამოკონკილი; მეორეს, მათხოვრის პირობაზე, ფერ-ხორციც კარგი ჰქონდა და სხვადასხვა ფერის და ზომის ტანსაცმელიც ემოსა, თავზე ქალის ჭრელი თავსაფარი წაეკრა და მკლავზეც სანოვაგით სავსე ბოღჩა ჰქონდა წამოცმული.

— რა ჰქენი, ისევ ვერაფერი იშოვე ხომ? — ნიშნისგებით, გულგრილად შეუღრინა ძვალტყავას.

— ვერა! — ამაყად უპასუხა ჩამოკონკილმა.

— რამდენჯერ გითხარი, წელში უნდა მოიღუნო, ატირდე, ფეხებში ჩაუვარდე, არ უნდა მოეშვა, სანამ რამეს არ წაღლიტავ.

— ვერ ვიზამ! — იუარა ფერდებჩალეწილმა. — ისედაც ხომ ხედავენ, რომ მიჭირს. მე მათხოვარი არა ვარ.

— აბა ვინა ხარ?! — ჩაიქილიკა ფერხორციანმა.

— შენც იცი, ქალაქის ღუბერნატორი ვარ!

მე თვალები დავაჭყიტე.

— მერე, ვერ დაეტიე ღუბერნატორად? ქალაქს ერთი მაწანწალა მოაკლდებოდა.

— შენისთანა მათხოვრებით გაივსო ქვეყანა და მდიდრების ქონების წართმევა რომ მოვინდომე, იმან მიქნა.

— გინდოდა ყველა გაგეღატაკებინა? გვღუპავდი? მერე ვინ რაღას მოგვცემდა!

— ჰოდა, მათხოვრებიც აღარ იქნებოდნენ...

— ახლა ამ ჩემს ნამათხოვრებს რომ ჭამ?

— გაქსუებულის წყალობას მირჩევნია, შენ დაგესესხო. მე შენთვის ვიბრძოდი. მდიდარი ჩემი მტერია, მტრის ხელიდან მიღებულ მოწყალებას, მიჯობს მოყვარე მათხოვრის ულუფა გავიყო.

ძვალტყავამ ნაპატიების ბოხჩაში ხელი ჩაყო, იქიდან მუჭით რაღაც ამოიღო და პირში ჩაიყარა.

— რას შვრები, ლუკმას მაცლი? — ატირდა ბოღჩის პატრონი.

— ერთი მუჭა კიდევ უნდა მომცე!

— ხვალამდე გეყოფა, რაც წაიღე.

— მე კი, მაგრამ აგერ რომ კაცი წევს?.. — ჩემზე მოუთითა.

მე პირი ვიბრუნე.

— ეგ ვიღა ოხერია, კიდევ მაწანწალა მოგვემატა?!

— არა, უცხო უნდა იყოს, სანამ მდიდრებს გაუგიათ და ლხინი და ქეიფი გაუმართავთ, ჩვენი მათხოვრის ულუფა გავუყოთ.

— ჩვენ გაჭირვებული გვაკლია?..

— ეს კაცი, ეტყობა, აქ დარჩენას არ აპირებს, ხომ ხედავ, ზღვას გასცქერის.

— წავიდეს მერე, მე დავიბარე თუ? — ჩააფრინდა ბოღჩას ეს მართლა მათხოვარი.

— ჩვენ დავიბარეთ, — აუხსნა „ღუბერნატორმა“,— მე, შენ... ჩვენი ქვეყანა რომ არ იყოს, ამ კაცს აქ რა ესაქმებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ დავიბარეთ.

— მერედა რა კაი ამბავს წაიღებს? თავი მოგვეჭრება!

— კარგი ამბავი სიმართლეა. ჩვენ ბედი გვქონია, რომ ეს კაცი ვინმე მდიდარს არ მიადგა კარზე, თორემ ეგონებოდა, ფუფუნებაში ვცხოვრობთ, და შენი, ჩემი და ჩვენი ქვეყნის გასაჭირს ვერავინ გაიგებდა.

— სხვაგან კარგი გაიგონ არ ჯობია, ვინემ ისა თქვან, მათხოვრების და მაწანწალების ქვეყანაში ვიყავიო.

— კი მაგრამ, ეს უცხოელი რომ მოვატყუოთ, თავს მოვიტყუებთ, თანაც მდიდრების საქმეს გავაკეთებთ... ამას გარდა, ამ კაცს რას ვემართლებით, ხომ ეტყვიან: გიხეტიალია, მაგრამ ბრმად გივლიაო.

ამოაცალა ისევ ბოღჩიდან ერთი მუჭა მოხარშული ბრინჯი და მომირბენინა.

მოხდა სასწაული, მდიდრის სუფრაზე რომ ჭამით ვერ გაძღები, ახლა, მათხოვრის ლუკმა ცრემლიანი რომაა, თუ მწარე, ის ერთი მუჭა მეც მეყო და ჩემს მტრედებსაც.

იმ ძვალტყავა მათხოვრისა არ იყოს, მოგზაურს ასი თვალი და ყური სჭირდება, თორემ შეიძლება მართლა ბევრი იწვალოს, იჯახიროს, იშიმშილოს და დაოსდეს, მაგრამ, რაც წაიღო, ისევ ის ჩამოიტანოს. მე, მართალია, მდიდარს და ღარიბს კი ვარჩევდი, მაგრამ აქამდე ყველა

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 2, 3, 4, 5.

მაწანწალა ერთნაირი მეგონა და თუ მათ შორის ღუბერნატორები და ქვეყნის ბატონ-პატრონებიც იყვნენ, არაფრით არ წარმომედგინა. თურმე, გიჭირს თუ გილხინს, მაინც შენი სამშობლოს შვილი ხარ და მისი მესვეური.

ვაზამ ამ ბარათს ყველაზე სუსტ და ჩია მტრედს, წელან მათხოვრის ნაწილადები საკენკით რომ სული ჩავუბრუნე, და ვუშვებ. ასეთი ამბავი თქვენც უნდა იცოდეთ, რომ ყველა ღარიბი და ღატაკი ერთი ჯოხით არ გადენოთ.

ბადაგი გადმოღვარა პირიდან, უსიერი ტყიდან თვალს რომ არ მაშორებდა.

— ენა-პირი ვერ იტყვის, ისეთი მადლობელი ვარ თქვენი, მაგრამ რა ვქნა, ჩემს საკუთარ გემს რომ ველოდები?

— საკუთარ გემს ელოდები?!

ერთმანეთს გადახედეს და სამივემ პირი დააღო.

— რაკი მასე გაქვს საქმე, ზურგის ქარს გისურვებთ! — დამემშვიდობნენ, ნაპირს, ჩემი თვალის ასახვევად, ნავსადგურისკენ გაუყვნენ.



## ღამით მეკობრეებმა მომიტაცეს

საღამოვდება. ვწევარ ზღვის პირას. ნაბადი გალიას გადავაფარე და ვფიქრობ, ზღვა რით გადავცურო, ხუთასკილოიანი კუ გამოჩნდება თუ ადამიანის მეგობარი დელფინი, ავი ზვიგენი თუ ასტონიანი ვეშაპი.

ზურგიდან სამი კაცი წამომეპარა და თავზე დამადგა. ავხედე, არ მიამა. ერთს თვალები ა, საცაა გადმოუცვივდება, ისე ქაჩავს! მეორეს ისე ვიწროდა აქვს გახელილი, კინაღამ თვალდახუჭული მეგონა; მესამეს წარბები აქვს — უსიერი ტყესავით და ამ ტყეში თითქოს ორი კოცონი ბრიალებს. მივხვდი, კარგი სულისა არ იყვნენ, მაგრამ რა მქონდა, რა უნდა დამეკარგა, და ავკაცობას თუ ვერ მოვსპობ, დავცინებ-მეთქი, თავი ისე მოვაჩვენე, ვითომ შიშით გული გამისკდა და გალიას გადავეფარე.

— აქაური რომ არა ხარ, რად უნდა ამას ლაილაი! — დამღრინა თავზე თვალებმოჭუტულმა.

— არა, თქვენს გამჭრიახ თვალს რა გამოეპარება! — შევაქე, ვითომ მათი დიდი კრძალვა მქონდა და მათს გულის მოგებას ვლამობდი.

— საიდან მობრძანებულხარ და საით გაგიწევია? — დამიყვავა თვალებგადმოქაჩულმა.

— აღარც კი ვიცი, იმდენი ქვეყნიდან მოვდივარ...

— სტუმარი ღვთისაა, — გამაწყვეტინა და შაქრად დადნა უსიერი ტყიდან მაცქერალი.

— უჰ, აგაშენა ღმერთმა!.. — ვითომ გულზე მომეშვა, ასე ახლობლურად რომ მიმიღეს და გალიაზე გადაფარებულ ნაბადს ხელი ვუშვი.

— აქაურები არც ჩვენა ვართ... — მთლად გამიშინაურდა თვალებგადმოცვენილი.

— ჰოდა, მეგობრები ვყოფილვართ, შე კაცო, რატომ აქამდე არ თქვით? — ვითომ ცას ვეწიე სიხარულით.

— ამაღამ, გვიან, ჩვენი ხომალდი ნავსადგურიდან გადის და, თუ რაიმეში გამოგადგებით, გვიმსახურეთ, — დაღამებისთანავე ჩამეძინა. გვიან სიგრილემ დამკრა, ნაბადში გავეხვიე და თავი ისევ ძილს მივეცი იმ იმედით, რომ დილა ღამეზე ბრძენია და ხვალ გამგზავრების რაღაც საშუალება გამოჩნდებოდა.

მოგზაურმა მაგარი ძილი უნდა იცოდეს, მეც ამის იმედი რომ მქონდა, ამიტომ დავადექი ამოდენა გზას, მაგრამ თურმე კურდღელივით გრძელი ყურებიც უნდა გქონდეს, ეს არ ვიცოდი და, გონს რომ მოვედი, ჩემსავე ნაბადში მაგრად გაკოჭილი ვიყავი.

სადღაც შორს, ქალაქში საათმა თორმეტჯერ ჩამორეკა, რომ მუთაქასავით მხარზე გამიდვეს და გამაქანეს.

„არ დამღუპოთ, გალია არ დამიტოვოთ-მეთქი" — მინდოდა მეყვირა, მაგრამ ნაბადში რამდენიც გინდა, იმდენი იღრიალე.

ერთხანს ხრეშის ხრაშა-ხრუში მესმოდა და ვიცოდი, ნაპირს მისდევდნენ, მერე წყალში შეშლიგინდნენ, ბოლოს, მივხვდი, ნავში გადამიძახეს, რაკი, სადაც დამაგდეს, აკვანივით ირწეოდა, მერე, გამალებით მოუსვეს, ნიჩბები და წავედით და წავედით.

— აგაშენათ ღმერთმა! — ვემუსაიფები მეკობრეებს ნაბადით პირაკონილი, — მე მაინც უნდა ვიმოგზაურო და ჩემთვის სულ ერთია, ქვეყნის რომელ მხარესაც წამიყვანთ. რაც ამ გზაზე ვნახე და ვნახავ, ჩემი სიმდიდრე, ოქრო და ბრილიანტი ესაა, მაგრამ ვერც წამართმევთ და, რომც წამართვათ კიდეც, რა თავში იხლით. უსვით ნიჩბები, სანამ ქანცი არ გაგიწყდებათ, და მატარეთ. მერე რას იზამთ, როცა ნახავთ, რომ პირში ჩალაგამოვლებული დარჩით? რომელიმე ქვეყანაში დამტოვებთ? ძალიან კარგი! კუნძულზე გადამაგდებთ? კიდევ უკეთესი! ბოლოს და ბოლოს, ოკეანეში გადამისვრით, მეტს ხომ ვერაფერს მიზამთ. არც მაგის მეშინია. ზვიგენი რომ ზვიგენია, თქვენისთანა ყაჩაღებს ისიც კი მირჩევნია. უსვით, უსვით ნიჩბები და ვინ ვის რას წაართმევს და წაღლეტავს, მაგასაც ვნახავთ!

ამ ნავის ტალღებზე რწევაში ისე ჩამეძინა, ვითომ აკ-

ვანში ვწოლილიყავ და ბებიაჩემს ნანინა ემღეროს. ერთი გამოძინება კიდეც მოვასწარი, რომ ისევ ჩამავლეს ხელი, რაღაცა ჩამაბეს და სადღაც მაღლა ამათრიეს. ისევ ერთი ბრაგა-ბრუგით გამარბენინეს და იატაკზე თუ ფიცრის ტახტზე გულაღმა დამდეს.

უთუოდ ხომალდზე ვარ, რაკი აქაურობა ახლა წყნარად ირწევა და ისევ რული მერევა.

მე ერთ კაცს ვიცნობ, შვიდი შვილის მამაა — ბედნიერი კაცია. ერთმა კი, იმას, ჩემი ნაცნობი იცნობს, სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში იმდენი მოახერხა, ტრესტის მმართველი გახდა. რამდენი ვინმე ხლაფორთობს, მაგრამ იმ კაცს კარიერის ბედი დაჰყვა, უთუოდ. ერთი კაცია კიდევ, დაბერდა, დაჩაჩანაკდა და მაინც ბავშვივით გახარებული დადის და იცინის — სიცილის ბედი დაანათლა ალბათ, გამჩენმა. ერთი ყოფილა კიდევ თურმე, მე არ ვიცნობ და არ მჯერა, მაგრამ ის კაცი ამას აინუნშიაც არ აგდებს, ქვეყანას ატყავებს და ზანდუკებს ტენის — სიმდიდრის ბედი დამყვაო, გაიძახის თურმე და ცას ხელი უწვდება...

...და მე რომ მოგზაურის ქუდ-ბედითა ვარ დაბადებული, ამას წყალი არ გაუვა.

ნის ქართული ნალის ტოლა ოქროს საყურეები ეკიდა. იღიმებოდა, თეთრი აბაზიანების ხელა კბილებიდან მარგალიტებს ჰყრიდა. სადაფის სინი მოჰქონდა, ჩამოსხმული ბრინჯაოს ტანით, საყურეებით, სინით და ფერჰურჭლით მოცეკვავდა.

კაცს თუ ბედი დაგყვა, ყაჩაღი და მეკობრეც ვერ წაგართმევს.

სიზმარი მეგონებოდა, ამნაირი რამ ოდესმე გუნებაშიც რომ გამევლო. ჯერ მარტო მტრედების ბურღული ისეთ უძველეს ჩინურ ფიალაში ჩაეყარათ, თვითონ უგუნურ ფრინველებს თვალი ამ ხელთუქნელ ფაიფურზე დარჩენოდათ და საკენკი დავიწყნოდათ.

გეახელით ზღვის ლოკოკინების, მოლუსკების, კუს თუ ზღარბის უგემრიელესი კერძები. ოქროს მაღალყელიანი, მარგალიტებით მოჭედილი სურიდან ღვინო რომ მოვსვი, სხეულში ისე სანეტაროდ დამიარა, ფრთები გამომესხა მეგონა.

შევნაყრდი, დავწექი გულაღმა ბუმბულზე და ვუყურებ ჭერს.

ჭერია... თუ მხატვრის ხელს შეეძლო ასე ზედმიწევნით, დამაჯერებლად გადმოეცა ცის უსასრულობა... თუ



## უმეკობრესი მეკობრის ამბავი

მალე, თითქოს ვინმეს დაეტუქსოთ, ამოდენა სიმდიდრის და საკუთარი გემის პატრონს გაკოჭვა როგორ აკადრეთო, მოცვივდნენ, სადღაც მოწიწებით გადამიყვანეს, რბილად დამაწვინეს, თოკები შემხსნეს და გაიხურეს კარი.

გამოვძვერი ნაბდიდან. არა უშავს, აისისფრად განათებულ, ზღაპრულად მორთულ-მოფარდაგებულ დარბაზში ვარ, ატლასის ბუმბულზე ხონთქარივით გაჭიმული. ჩემი მტრედებიანი გალიაც თავს ზემოთ მიკიდია და ტალღების რონინზე ოდნავ ირწევა.

ყოველივე ამას შესაფერი ვახშამიც მოაყოლეს. ხომ შავი დედალივით გავკეთდი-მეთქი, გავიფიქრე და ის იყო კარებიც გაიღო. შავგვრემანი კაცი შემოვიდა. ცხეასე წარმტაცი ციური სილამაზე არსებობდა... თუ ნახატიდან შეიძლებოდა ანგელოზის ფრთის რხევისაგან წამოსული სიო ადამიანს მოსალბუნებოდა... თუ სიცოცხლეში შეიძლებოდა სამოთხის ხილვა...

ძალიან მინდა გადმოგცეთ, მაგრამ რა ვქნა, რომ ამას ენა-პირი ვერ იტყვის.

ოთხსავ კედელზე რომ ქვეყნის ოთხივე მხარე იშლებოდა კიდით კიდემდე, თუ იმ დალოცვილ ქვეყანას ამდენი მადლი და სასოება გააჩნდა, რატომ ამის დამხატავმა დაინახა და სხვამ ვერავინ.

თავი გემზე, კაიუტაში კი არა, ქვეყნის შუაგულში მგონია. ეს ბუმბულიც, კაცმა არ იცის, ფრინველის ღინღლია თუ მთლად ქათქათა, მშრალი ღრუბლებისაგან შეკერილი... ვწევარ და მეშინია არ დამეძინოს, რაკი ვიცი, ვერაფერი სიზმარი ამ სინამდვილეს ვერ შეცვლის.

კედლებიდან ჟონავს მუსიკა თუ პირდაპირ ტყიდან, ციდან და ღრუბლებიდან? აი, ნაგვალევი ღელე თეთრ ქვებში ჩურჩულებს, კი არ ჩუხჩუხებს, ჩურჩულებს; წვიმა რომ ცრის, მაგნოლიის ფოთოლზე გროვდება და მერე ბალახებში წვეთ-წვეთად ცვივა, ცვივა და წკაპუნობს; შველი რომ სისხამზე მინდორში გარბის, ბალახი რომ ცვარს ფანტავს და წელში სწორდება, ალბათ არ მიგიქცევიათ ყურადღება, თორემ გაიგონებდით, შვლის წვრილ წვივებზე ნამის წკარუნს. ბალახები რომ წელში სწორდებიან, შრიალებენ და ჩურჩულებენ; შველი რომ თვალებს აფახულებს, მისი გრძელი წამწამებიც შარიშურობენ; ღრუბლებიც... ქუნქულა, ჰაეროვანი ღრუბლებიც, როცა ერთმანეთში ირევიან, უჩუმარ, უნაზეს, თრთოლვის მომგვრელ ჩქამს გამოსცემენ... მაგრამ ამათ მუსიკას ყველა ვერ გაიგონებს და მით უმეტეს ვერ დაწერს, ან რომ დაწეროს, შესრულება არ გინდა? მე შენ გეტყვი, დოლს, საყვირს, ღოროტოტოს, და თვით ფორტეპიანოს რაიმე ამის მინაგვან ხმას გამოსტყუებ.

რა თქმა უნდა, არ ვიცი, ვინ მოისმინა, ვინ დაწერა და ვინ რა საკრავზე ასრულებს, მაგრამ მე რომ მორონინე ღრუბლებზე ვწევარ და შვლის წვივებზე დაკრულ ცვრის წკარუნს ვისმენ, ვიცი.

აგერ კიდევ ჭრელმა, მტრედის კვერცხის ტოლა ჩიტმა გაიღვიძა და კი არ დაიჭიკჭიკა, ფრთა გაშალა, არ აფრენილა, ფრთა გაშალა, ახალგაღვიძებული აკვნის ბავშვი რომ გააზმორებს ისე, ნუკრი წოვს დედის ძუძუს და ნუკრის ყელში რძის ჩქაფუნი მესმის. სადღაც სოროში მძინარე ბაჭიები ციცქნა ცხვირით სუნთქავენ.

საერთოდ, ეს მუსიკა მაშინ გესმის, როცა ძალიან მოგწყურდება ბუნება და სასოებით გაირინდები. ვინმემ დაილაპარაკოს კი არა, გულისცემამ რომ მოგიმატოს, მუსიკა მაშინვე ქრება. ესე იგი, თუ არ ჩაუსაფრდი, არ განეწყვე და მთლიანად მას არ დაემონე, კედლებიდან ჟონავს, მაგრამ რად გინდა, ყრუ ხარ, ის მისთვის იღვრება და შენ შენთვის ხარ.

„ვისია, კაცო, ეს გემი? რა ხელმა ააგო, ვინ მოხატა ასე უზადოდ, ვინ დაამშვენა ამდენი სიმდიდრით და ხელოვნებით, ვინ ჯადოქარმა დაწერა უქარო და უმტაცებლო ტყის საგალობელი, ვინ ასრულებს და, ბოლოს, ვინ კითხულობს და ვინ ისმენს?..“ — ეს რომ გავიფიქრე, ხე რომ უჩქამოდ გადაიხაროს და ფოთლებმა დაიჩურჩულოს, ასე გაიღო კედელი (იქ კარები არც მერე შემინიშნავს), ჯუნგლებში რომ პირველყოფილი ადამიანი გამოგეცხადოს, ასე შემოვიდა ვიღაც ჩია, გამსლეული, წინ რაღაც ძონძებაფარებული კუშტი კაცუნა და თავი ღირსებით დამიკრა.

წეღან რომ სუფრა გამიწყო, თუ ის მოსამსახურე და მონა იყო, ეს მონის მონა უნდა იყოს. კაცმა რომ თქვას, მეწყინა, ასე პატივდებულ სტუმარს ეს მაიმახი, როგორ მაკადრეს-მეთქი.

„როგორ გაბედე აქ შემოხეტება-მეთქი!“ — მინდოდა გავწყრომოდი, მაგრამ იქ ისეთი სათნოება სუფევდა, სააუგოდ ენა როგორ მოგიბრუნდებოდა.

— საიდან გამომეცხადე? — ესღა ვთქვი.

— მიხდება ზოგჯერ აქ ყოფნა... — თავი მძიმე-მძიმედ დააქნია და ახლად აბიბინებულ ლორთქო კოინდარში რომ აღმოსავლურად ჩაჯდე, ნოხზე ისე მოირთხა ფეხი.

„რავა ქვეყნის ბატონ-პატრონივით თავდაჯერებული ლაპარაკობ და იქცევი?!“ — მინდოდა მესაყვედურა, მაგრამ ესღა ამოვთქვი: — აქ ხანმოკლე სტუმრობაც ხანგრძლივი ბედნიერებაა.

— სტუმრობა კი არა, ამეების მეუფებაც ვერაფერი ბედენაა...

— მგონია, შენ ერთი ხეირიანი შარვლის „მეუფებაც“ გიჭირს, როცა ირგვლივ ასეთი უსაზღვრო ფუფუნებაა.

— შარვალი და ხალათი არა მაქვს, — გამომიტყდა და თვალი თვალში გამიყარა, — მაგრამ ეს ყველაფერი მე მეკუთვნის.

— ეს ყველაფერი შენი საკუთრებაა?! — ჩავაცივდი და თვალი არც მე მომიშორებია.

— გარდა მცირე გამონაკლისისა, — ჩემს მტრედებიან გალიას ახედა.

— ჩემი მტრედებისა, ნაბდისა, ჯოხისა და ქალამნების გარდა?

— ჰო, და იმ „ჟესტებისა“ და ძონძებისა, რომლებიც ჩემს მონებს ეკუთვნით.

— კაი „ჟესტებია“, მე და ჩემმა ღმერთმა, წეღან აქ რომ მონა იყო და ყურზე ცხენის ნალის ტოლა ოქროს საყურეები ეკეთა?

— „ჟესტებია“, აბა, რა ჯანდაბაა?..

— ახლა, თუ ყალბია არ ვიცი და...

— საყურე ნამდვილი რაა, ყალბი რა უნდა იყოს?

სულ ველარაფერი გავიგე და ესღა ვთქვი:

— რაღაც ისე მახსოვს, აქ ჩემი ნებით არ მოვსულვარ.

— არა, ჩემმა მეკობრეებმა მოგიტაცეს.

— თუ მეკობრეები და ყაჩაღები გყავს, შენ თვითონ, თუ უკაცრავად არ ვიყო, ვინ ბრძანდები?

— მე უუმეკობრესი მეკობრე ვარ!

— აგაშენა ღმერთმა... — ერთი შეურყოლება შემაურყოლა, მაგრამ რომ გამახსენდა, მე თვით უუმეკობრესი მეკობრე ვერაფერს გამომრჩებოდა, გავთამამდი. — ალბათ იცი, რომ მეც საკუთარი გემი მყავს და იმედი გაქვს, გამძარცვავ, — ჩავიცინე.

— ვიცი, გემი კი არა, ყურგახვრეტილი გროში არ გაბადია.

— მაშინაც იცოდი, როცა ზღვის პირას შენმა მეკობრეებმა გამკოჭეს და წამომაძუნძულეს?

— მე, რა თქმა უნდა, ვიცოდი.

— კი მაგრამ... ხომ გითხრეს, რომ ვთქვი, საკუთარ გემს ველოდები-მეთქი.

— მერე, რასაც ამბობენ, ჩემი მეკობრეებივით, ისე მესმის, როგორც ამბობენ?

— ბიჭოს! შენ თუ ამდენი გესმის... მოიცა... მოიცა... მაშინ, როგორ გავიგოთ? ხომალდი შენია?

— ჩემია.

— მეკობრეები შენ გემსახურებიან?

— მე.

— ის, ცხენის ნალის ტოლა საყურეებიანი მონა, შენ გეკუთვნის?

— იმისთანა რამდენი, ვინ იცის.

— აქ, რასაც თვალი ხედავს და ყური ისმენს, თუ შენი გემოვნებით არა, შენი სურვილით გაკეთდა?

— ჩემი გემოვნებით.

თავი დავუკარი.

— გმადლობთ, — თავი დახარა თვითონაც.

— იცოდი, ყურგახვრეტილი გროში არ გამაჩნდა და ბრძანე, ხომალდზე ამოვეყვანე. რაკი მოგზაური ვარ და სხვა ქვეყანაში გინდათ გადამიყვანოთ? ამ სიკეთეს ღმერთი გადაგიხდით...

— მე რომ ასე კეთილი ვიყო, შენსავით ჯიბეგახეული ვივლიდი და უუმეკობრესი მეკობრე კი არა, მათხოვარი მერქმეოდა.

მეგონა, ამან მაინც იცის-მეთქი ჩემი ფასი და, ეს რომ მითხრა, ისე მეწყინა, მასპინძლის გაქირდვისა და გამასხარავების გუნებაზე დავდექი.

— მაშინ, მიდი, დაუძახე იმ შენს ყაჩაღებს, დამადეთ გულზე ხანჯალი და მძარცვეთ და მძარცვეთ, სანამ გემი ბრილიანტებით არ აავსოთ.



[library stamp]

— ნაპირზე მასე რომ გაატრიზავე ჩემი მეკობრეები. იმისათვის მოგიტაცე.

— მოდით ახლა და იძიეთ შური! — ღრუბლის ლეიბიდან გადმოვხტი და ამ მოლივით ნოხზე გავიშხლართე. — მოდით, თქვე პატივმოყვარეებო და ჯალათებო, თქვე მძარცველებო და ავაზაკებო!

— ამასაც ვიზამთ, თუ საჭირო იქნება... — დამამშვიდა და განაგრძო: — რავა ფიქრობ, შენ რომ ჩემს, მართლა მეკობრეებს დასცინე, ამისთვის შევიწუხებდი თავს?

— შენი მეკობრეები მართლა მეკობრეები არიან და შენ, უუმეკობრესი მეკობრე — ანგელოზი?

— ვინ თქვა? მე იმათზე უარესი და საშიში მეკობრე ვარ...

— არ გამახარა! მაინც რანაირი?

— მე იმათსავით გემებს არ ვძარცვავ.

— არც ოქროს და ბრილიანტებს იჯიბავ?

— არა.

— არც პერანგს და მის ამხანაგს ხდი ვინმეს?

— არა, ღმერთმა დამიფაროს!

— აბა, რა ჯანდაბის უუმეკობრესი მეკობრე ხარ, გამაგებინე, თუ კაცი ხარ! — ნოხზე წამოვჯექი და ახლოს მივუჩოჩდი.

— აზრის.

— რა ბრძანე?

— აზრის, აზრის მეკობრე ვარ! მე ყველაზე ძვირფას და აურაცხელ სიმდიდრეს ვაგროვებ.

— აზრს, სიბრძნეს, გონებას, ფიქრს ართმევ ადამიანებს?

— სწორედაც!

— აგაშენა ღმერთმა, შენ არც თუ ისე საშიში კაცი ყოფილხარ, გული რომ გამიხეთქე.

— მასე ნუ ლაპარაკობ, თორემ ახლავე ზღვაში გადავაგდებინებ შენს თავს.

— რატომ, მე კაი დედ-მამისშვილო, საშიში კაცი არ ყოფილხარ-მეთქი, ეს მინდოდა მეთქვა.

— ყოველი ბრიყვი და სულელი კარგი კაცია. შენც კარგი კაცი გგონია, ალბათ, შენი თავი.

— ყოველ შემთხვევაში, ვცდილობ.

— რომ მიაღწიო კიდეც, მაინც ის იქნები, რაცა ხარ.

— აბა, ფრთები კი არ გამომესხმება.

— რად გინდა, რომ გამოგესხას, მაინც ვერ მოიხმარ

— მაშინ გადამაგდე ზღვაში, თუ ჩემთვის არ ვივარგე, შენ რაში გამოგადგები?

— მე კი გამომადგები... შენ, გეტყობა, ბევრი ნათრევი ხარ.

— კი, თვალებდაპრაწული ვმოგზაურობ.

— ჰოდა, ბევრსაც ნახავდი და ისწავლიდი, მაგრამ შენ და შენისთანები რაში გამოიყენებთ, მე კი წაგართმევ და ჩემთვის სიმდიდრეა.

— მე და ჩემისთანები თუ დაგვამათხოვრა ჩემმა ცოდნამ, შენ გაგაკეთებს?

— ეს გემი რა გემია, იცი შენ?

— რომ ცურავს, ვიცი და...

— ცურვით ბატიც ცურავს! — სიტყვა პირიდან გამომგლიჯა უუმეკობრესმა მეკობრემ.

— ალბათ ყვინთავს კიდეც.

— ყვინთავს კი არა, ასე როგორცაა, ერთს დავაჭერ თითს და ამის ადგილზე ტალღები დაიწყებენ ტლაშუნს.

— ახლა, თუ ააფეთქე და ჩაძირე...

— ჰო, შენი ჭკუისა ვარ, ავაფეთქო და ჩავძირო! გემი როგორცაა, ასე იქნება და შენც მასე იქნები ამ ნოხზე წამოსკუპული.

— აბა, ასე, როგორ...

— ამას უნდა ჭკუა და აზრი... და იცი შენ, ამისათვის რამდენი ინჟინერი და გემთმშენებელი გავძარცვე?

— შეგარგოს ღმერთმა, თუ თავი არ მოგიპრია და მათი ცოდნა და ნიჭი გამოიყენე.

— მერე, იცი, ნიჭს, ცოდნას და აზრს ვერავითარი ოქრო რომ ვერ გადაწონის?

— მე კი ვიცი, მაგრამ შენც რომ გცოდნია, ეს მიკვირს.

— ჰმ, — გაეცინა, — ამის დამხატავი, როგორ გგონია, ციდან ჩამოფრინდა?

მე ისევ ავხედე კედლებს და ჭერს.

— ვერ გეტყვი, მაგრამ მიწაზე ამის დამხატავი რომ არ მეგულება, ვიცი.

— არაფერიც. მიწაზეა სუყველა, მაგრამ რამდენი მხატვრის ნიჭი და ოსტატობაა აქ თავმოყრილი, ვინ მოთვლის. ან ის მუსიკა, შენ გგონია, საღამოს შევუკვეთე ვინმე მედაფდაფე კომპოზიტორს და მეორე დილისთვის გამოაცხო?

— არა, მაგი ერთ ღამეში გამოცხობილი მუსიკა არაა.

— რომ ჰკითხო, თვითონაც არ იციან, რა დაწერეს, მარტო მე ვიცი.

— ბარაქალა შენს ცოდნასა და ნიჭს! — გულწრფელად შევაქე უუმეკობრესი მეკობრე.

— და ამდენი საიდან ვიცი, არ მეკითხები?

— გეკითხები.

— შენგან, შენისთანებისაგან... ახლა, მიდი, წამოწექი მაგ ნეტარების ბუმბულზე!



— ალბათ ამ ლოგინსაც რამდენი სეფექალის გამოცდილება, ჭკუა და მონდომება დასჭირდებოდა, მართლაც ასე ნეტარი ღრუბლის ქულებით რომ გაგიტენიათ.

— არ მითხრა, თუ კაცი ხარ!

— ან მარტო ეს ფიალა რად ღირს, რამდენი ოსტატის და ოქრომჭედლის ნიჭი და აზრია შიგ თავმოყრილი...

— მიდი, მიდი, წამოწექი, მასეთია აქ ყველაფერი, წამოწექი და აზრებს თავი მოუყარე. თუ რაიმე გინახავს, გაგიგონია ან თავში მოგსვლია, ხვალ რომ ხანჯლით დაგადგებიან, გადმოიბრუნე ჭკუა და დაყაჭე!

გამშორდა ის კაცი, მე ბუმბულზე მხარ-თეძოზე წამოწოლილი წერას შევუდექი და მგონი სიტყვაც გამიგრძელდა.

ვაბამ მტრედს, გამოვალ გემბანზე და გამოვუშვებ.

მეტად გასაკვირ ხომალდზე, მეკობრეებთან და უუმეკობრეს მეკობრესთან ვიმყოფები. აჰ, რავა იტყვით თქვენ?

# დელფინმა გადამარჩინა

კაცისშვილს მარტო ის გაგიხეთქავს გულს, რომ წარმოიდგენ... თუმცა რა წარმოდგენა გინდა, ხედავ: მარტოდმარტო, ნაფოტივით ტივტივებ უკიდეგანო ოკეანეში. ერთადერთი ძელსკამი ტივტივებს ჩემდა იმედად, და იმაზეც გაქლენთილი ნაბადი, ქუდი, ჯოხი და მტრედებიანი გალია მაქვს ქამრით დაკრული, რომ ეს უწყინარი ფრთოსნები არ დამეღრჩოს.

ორიოდე სიტყვით რომ გითხრათ, მტრისას, იმ ჩემმა უუმეკობრესმა მეკობრემ საქმე დამმართა. ერთ კვირას მაინც გაგრძელდა ჩემი დაკითხვა. სულ კაკალ-კაკალა დამაფქვევინა, თუ რაიმე მქონდა ნანახი, წაკითხული, გაგონილი და ყურმოკრული, ნაფიქრი და ნაოცნებარი. თითქოს არაფერი დამიფარავს, მაგრამ ჩემი ერთი საგულდაგულოდ გაროზგვა უუმეკობრესმა მეკობრემ მაინც ბრძანა, ვინძლო რაიმე დაავიწყდა, ან შეგნებულად გვიმალავს — აჭიკჭიკდებაო. ნაცემ-ნაგვემმა, რაღა თქმა უნდა, პირზე ბოქლომი დავიდე. დამავლეს ხელი, გემბანზე გამათრიეს და ზღვაში რომ მაგდებდნენ, ძელსკამს ჩავებღაუჭე. ვერაფრით ხელიდან რომ ვერ გამომგლიჯეს, იმიანად გადამიძახეს ოკეანეში და უკან ჩემი ავლადიდება მომაყარეს.

წუხანდელი ღამე ასე წყალწაღებულმა გავათიე. აღარაა საშველი. ძალ-ღონე რა ხანია გამომეცალა, საცაა გონებასაც დავკარგავ და წავალ ზღვის ფსკერზე: მშვიდობით, ლურჯო ცაო, თეთრო ღრუბლებო, მზეო და მოღუღუნე მტრედებო! (მტრედებს, ალბათ, ჩაძირვის წინ გალიას გავუღებ, მაგრამ ვაი რომ აქ ბარათის დაწერა არ მოხერხდება და ვერავინ შეიტყობს ჩემს ამბებს).

ეტყობა, ოკეანეში დინებები ჩქარი მდინარეებივით მიემართებიან, და კარგა ხანია ვგრძნობ — სადღაც მივყავარ, ვგრძნობ, რაკი ხან ძელსკამს ვეპოტინები, ხან სანახევროდ ვყურყუმალობ და ერთ ადგილზე კი არ ვდგავარ. თუმცა რას გაიგებ, მე შენ გეტყვი, რაიმე ნიშანია, წყალია სხვა ფერის ან ტალღა...

რომ გიჭირს და იღუპები, იცი, საშველი არაა, მაგრამ მაინც ყვირი, რატომ, არ იცი, ყვირილით კი ყვირი. ალბათ არ გინდა პირში წყალდაგუბებული წახვიდე ამ ქვეყნიდან.

ვის გინდა ახლა აქ რომ მოუხმო. დედიკოს და მამიკოს ვერ გააგონებ, ვერც დაიკო და ძამიკო გამოგიწვდიან ხელს. მეგობარი და ამხანაგი კი არა, საერთოდ, ადამიანის სახსენებელი ათას კილომეტრზე არაა. ვის შეუძლია ოკეანეში გადასროლილს უშველოს?.. და იცი, გაგონილი გაქვს უამრავი შემთხვევაა, ზვიგენს რომ უნდა დაეფლითა განწირული და სადღაციდან მხსნელი ანგელოზივით გამოჩენილა დელფინი. ეს კეთილი, მშვენიერი, ეს გონიერი... გონიერი კი არა, პირდაპირ ჭკუის კოლოფი, კაცთმოყვარე, მშვიდობისმოყვარე, ლამაზი, საყვარელი და პირდაპირ გულში ჩასახუტებელი...

ერთი სიტყვით, მე ჩემი გაჭირვება მეყოფა, რაღა თქვენც გაგიჭირვოთ, ვყვირი... ამოვასხამ პირიდან მარილიან წყალს, ვკივი:

— დელფოს!.. სად ხარ, დელფინო!.. რა ხანია ვიღუპები და რატომ არ ჩანხარ, შე კაცო! ესაა შენი სიკეთე და განწირულისათვის ხელის გაწვდენა?.. ჰე, თუ მართალია, შენზე რაც ლეგენდა და სინამდვილე დადის! ჰე, თუ შენ მართლა მხსნელი და საიმედო ხარ, ახლა უნდა კაცი კაცს!.. დელფოს, ე, ბიჭო, ამოიღე ხმა და გამოიღე ხელი! აღარ შემიძლია მეტი, ვი-ვი-ვი-ძი-რები, შე კაი დე-დე-დედმამისშვილო!

ფეხები ზევით ველარ ამომაქვს, ვებღაუჭები ძელსკამს, ძლივს ცხვირი გამომიჩნდება, გადმოყირავდება, ვუშვებ ხელს, პირი წყლითა მაქვს სავსე, აი ახლა ჩამითრევს ოკეანე, აი ახლა ჩამნთქავს...

ვითომ ჩემი გაჭირვება არ მყოფნიდა, რაღაცამ წყლის ქვეშ ძალუმად გაიშუილა, ეძგერა ძელსკამს, აალაწუნა და გაითრია. სადღა მქონდა ძალა, რომ მომეკრიბა, გავაფართხალე ჩვრადქცეული ხელები, ნელ-ნელა მივუახლოვდი გატაცებულ ჩემს ავლა-დიდებას. ძელსკამს ცალ მხარზე არც ერთი ფეხი აღარა აქვს, რაღაცას (ალბათ ზვიგენს) შაქარყინულივით წაუკვნეტია.

ვის გინდა რომ შესჩივლო შენი გასაჭირი და უკანასკნელად ამოვითუხთუხე:

— სულ ტყუილი ყოფილა, დელფოს, რაც შენზე უთქვამთ და დაუწერიათ. ზვიგენებს აფლეთინებ ჩემს თავს? სულ წყალში ჩაყარე, რისთვისაც გვიყვარდი და შენი იმედი გვქონდა. მშვი-მშვი-მშვიდობით, ძმაო, დე-დელფოს. — და წავედი.



თითქოს რაღაცა წამომედო ფეხებში და კი არ მაგლეჯს, მაღლა-მაღლა მიბიძგებს. რაღა თქმა უნდა, მეჩვენება, მაგრამ ჯობია იმედიანად დაიღუპო, ვინემ უიმედობის ზაფრამ წყალთან ერთად ორმაგად გაგგუდოს...

არადა, მოჩვენება უძახე შენ, რაღაცაა. კარგად გატენილი ტომარივით თუ ჩაკურატებული ღორივით, შემომიძვრა წვივებში და ბოლოს, გაზულუქებული, უბელო სახედარივით მომიგდო ზურგზე. არ მჯერა, მაგრამ წყალს ზემოთ რომ ბეჭებამდე ამოვედი და ჰაერს ისევ ვსუნთ-

თემურ მეტრეველი

# ...და ყველაფერი იქნება კარგად

მუშა—პიონერხელმძღვანელი



ქვეყნად მრავალზე მრავალი ლამაზი სახლია, მაგრამ სკოლაზე ლამაზი ვერც ერთი ვერ იქნება, რაგინდ პატარა და ჩვეულებრივიც არ უნდა იყოს იგი გარეგნულად.

ალბათ შეგიმჩნევიათ: სკოლაში მოხვედრილ უცხო ადამიანებსაც კი ეს ამბავი როგორღაც ერთბაშად აახლოებთ და ანათესავებთ. რაღაც უცნაური თბილი შუქით ევსებათ ხოლმე თვალები. ეს მოგონებათა შუქია. იმათ თავიანთი სიყმაწვილის უტკბილესი წლები ახსენდებათ, ხოლო სიყმაწვილის გახსენება სკოლის გაუხსენებლად ისევე წარმოუდგენელია, როგორც უიმსიყვარულოდ, რომელიც დედის სახელს უკავშირდება.

— მეც ასე დამემართა, როცა პირველად მივედი თბილისის 82-ე საშუალო სკოლაში და იქაური მოსწავლე-

ქავ, ღრუბლებს, მტრედებს, ცას და მზეს ვხედავ — ეს ყველაფერი რომ არ დაიჯერო, მაინც ბედნიერებაა.

ძელსკამის ყურში ხელის წავლება მოვასწარი, რომ ამ ჩემმა ნაპატიებმა ბედაურმა აიწყვიტა და მიმაქროლებს.

სიხარულით ცას ხელი მიწვდება. როგორც უნდა, ისე იშლიგინოს და სადაც უნდა, იქით იჭენოს, მე ვინ მკითხავს, ან რომ მკითხოს, რა პასუხს მივცემ — ვიცი, სადა ვარ და საით უნდა წავიდე თუ? ბატონიც თვითონაა, პატრონიც, გამკითხავიც და გზის გამკვლევიც. ცალი ხელით მტრედებიან ძელსკამს რომ ვარ ჩაფრენილი, მეორეთი გასანსალებულ ზურგზე ვუთათუნებ და ვეფერები:

— მიდი, შენი ჭირიმე! მიდი, გენაცვალე, სადაც გინდა, რავარც გინდა, როგორც მოგეგუნებოს და რავარც გეამოს!

არ მინახავს იმისთანა დაუღლელი და შეუპოვარი



არაფერი. რა იგლიჯინა ამ უკიდეგანო ოკეანეში, რა დინებები გადასჭრა და გადასცურა, რა ღამა და დღემა იჯირითა ის დღე, ის ღამე და მეორე დილით, როცა მე ამხედრებულს მეძინა. უეცრად წელამდე წყალში გამეღვიძა.

თქვენ, ალბათ, არ იცით, რა ბედნიერი ხართ, რომ ფეხი მიწაზე გიდგათ. ჩემს სიცოცხლეში პირველად განვიცადე ნამდვილი ბედნიერება, როცა ფეხქვეშ ისევ მიწა ვიგრძენი.

მივიხედ-მოვიხედე, რომ, ვინც ეს ბედნიერება მაღირსა, გადავეხვიო და დავუკოცნო ის მოკლე დრუნჩი, თეთრი მუცელი, ფარფლები და ბოლო, მაგრამ სადაა!.. ცისფერი ნაპირი, წყნარი, მოალერსე ტალღები, აქეთ — ლურჯი ზღვა, იქით — მწვანე ნაპირი, და არსად ჩემი მფარველი ანგელოზი.

— დელფოს! — ავყვირდი ფრთაშესხმული, — რა ქენი, კაცო, ეს! ამდენი სიკეთე რომ კაცს კაცისათვის ექნა, მთელი სიცოცხლე მონად გაიხდიდა და შენ მადლობაც არ მათქმევინე?! ვინ ხარ, რა ხარ ამისთანა ღვთისნიერი, დელფოს! დამენახვე, თუ ძმა ხარ... (თუ კი არა, ჩემი ნამდვილი ძმა შენა ხარ). ერთხელ დამენახვე და მერე თუ გინდა, ისევ იმ შუა წყალში გადამაგდე!..

აბა, გაგონილა! არავითარი...

— თუ ვიცოცხლებ, შენთვის ვიცოცხლებ, შენთვის ვისწავლი ხატვას და ძერწვას და შენს ძეგლებს ქვეყანაზე მოვფენ, — მივაძახე, ფეხებდაკვნეტილი ძელსკამი ნაპირზე ავათრიე, დავემხვე და ჩემი მხსნელის საკოცნი მიწას ვაკოცე.

ვტიროდი, ვიცინოდი, ვკვნესოდი, ვოხრავდი, ვხითხითებდი და ვხორხოცებდი...

დასასრული შემდეგ ნომერში



ეროვნული ბიბლიოთეკა

ები გავიცანი, — თქვა ოთარ ჯაოშვილმა.

იმ დღეს, ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა; სკოლაში ტარდებოდა ტრადიციული შეკრება — „შრომა ამაღლებს ადამიანს". გიორგი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კომკავშირის კომიტეტმა მონაწილეობის მისაღებად სხვა მოწინავე მუშებთან ერთად ოთარ ჯაოშვილიც გაგზავნა. ჯერ მასპინძლებმა თქვეს სათქმელი, მერე კი სტუმრებს სთხოვეს აზრის გამოთქმა. ოთარს თავიდან რატომღაც ეუხერხულებოდა, მორიდებულად დაიწყო ლაპარაკი. მაგრამ სიტყვას სიტყვა მოჰყვა... ოთარმა თავისი მოწაფეობა, პიონერული წლები გაიხსენა და მალე ისეთი განწყობილება დაეუფლა, გეგონებოდათ კარგა ხანი და ჟამია სულ ამ შეხვედრას ელოდა და სულ ამ საუბრისათვის ემზადებოდაო. საღამოს დამთავრების შემდეგ, როცა ხალხი წავიდ-წამოვიდა და ოთარიც შინისაკენ ეშურებოდა, დერეფანში მერვე მეოთხე კლასის პიონერებმა შეაჩერეს. ყველას სათქმელი რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ დარეჯან ლაცაბიძემ თქვა: — ძალიან გაგვახარებთ, თუ ჩვენი რაზმის ხელმძღვანელობას გასწევთო. სიტყვებს დაზეპირებულივით ამბობდა, სხაპასხუპით, თითქოს ეშინოდა, წინადადება შუაზე არ გამაწყვეტინონო. ერიდებოდა და იმიტომ! ოთარს კი გაუხარდა, გულის სიღრმეში იმედიც ჰქონდა, რომ რაღაც ამნაირი უნდა მომხდარიყო. წეღან, მასწავლებლებს რომ ემშვიდობებოდა, გული წყდებოდა, სკოლასთან ასე ჟამიდან ჟამად შეხვედრებიღა მაკავშირებს და მეტი არაფერიო. აქ კი თურმე, ხედავთ, რა ამბავი ყოფილა. ერთი-ორი მერვეკლასელი ცოტა განზე იდგა და ღიმილით წარბებქვემოდან გამოხედავდა ხოლმე მათი თანაკლასელებით გარშემოჯარულ სტუმარს, ვითომდა, მაგას ჩვენთვის სად სცალია, ხომ გაიგონეთ, რამდენ საქმეს აკეთებს — ეს ქარხანაო, ეს ოჯახი, საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, ახლა კიდევ საქალაქო საბჭოს დეპუტატადაც აურჩევიათ და ჩვენზე ზრუნვაღა აკლიაო!

ცდებოდნენ ბიჭები! აკი უკვე ითქვა და ისევ მართალი იქნება, თუ გავიმეორებთ: ოთარს გაუხარდა, გულის სიღრმეში იმედიც ჰქონდა, რომ რაღაც ამგვარი უნდა მომხდარიყო.

რატომ და რისთვისაო, რა გრჯიდაო? — ამნაირი შეკითხვა ცოტა უხერხულიც კია. ჩვენ თვითონვე უნდა დავასკვნათ, რაშია საქმე. ყველა მიზეზს იქნებ ვერ ჩამოვთვალოთ, მაგრამ ერთი უმთავრესი კი ნამდვილად ის არის, რომ ოთარ ჯაოშვილმა ამ სკოლასთან და მის აღსაზრდელებთან მეგობრობა თავის მოვალეობად ჩათვალა, რაკი პიონერებმა სთხოვეს და ნდობა გამოუცხადეს. ეს ახალგაზრდა კაცი თავისი ქარხნის, მისი სახელოვანი მუშური კოლექტივის პატრიოტია. თუ რამეს აკეთებს, მარტო თავისთვის კი არა, პირველ ყოვლისა სწორედ ქარხნის სახელისათვის იბრძვის. ამაში არაფერია გასაკვირი; აქ გადადგა მან, პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, დამოუკიდებელი ცხოვრების პირველი ნაბიჯები, აქ განიცადა შრომაში მოპოვებული გამარჯვების პირველი სიხარულიცა და წარუმატებლობით მოგვრილი ნაღველიც; აქედან გააცილეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში და დაბრუნებულსაც აქაური ამხანაგები თუ უფროსი, გამოცდილი მუშები შეეგებნენ. მათ შორის იყო მისი კეთილი დამრიგებელი, თავისი საქმის ნამდვილი ოსტატი უშანგი გოგილაშვილიც. იმან კი, ვალმოხდილმა ჯარისკაცმა, უბეში საგულდაგულოდ შენახული ის ბარათები მოსინჯა, რომლებსაც ქარხნიდან იღებდა დღესასწაულებზე, თავისი დაბადების დღესთან დაკავშირებით თუ ისე, უბრალოდ გამოგზავნილი ბარათები, რომლებშიც მას ქარხნის ავ-კარგს ატყობინებდნენ, დიდი კოლექტივის ლხინსა თუ ჭირს უზიარებდნენ. მას შემდეგ კიდევ გავიდა წლები. ახალგაზრდა კაცს გარჯა დაუფასეს, გამოარჩიეს, ზრუნვა არ მოაკლეს. იმიტომაც ახლა უამქარხნოდ და უამხალხოდ აღარ გაეძლება. ზუსტად ასეა, არც მეტი არც ნაკლები! იმიტომაც ყველაფერი, რაც ამ ქარხნის სახელსა და ღირსებას უკავშირდება, მისთვის ძვირფასია. 82-ე სკოლისა და ქარხნის მეგობრობას მრავალი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი, იმდენი ხნის წინ, რომ ახლანდელ მეათეკლასელებსაც არ ახსოვთ, როგორ დაიწყო ეს ყველაფერი. აი, ასეთ ურთიერთობაზე მართლა შეიძლება ითქვას — ამ ხალხს ერთი ფიქრი აქვს, საერთო ჭირი და ლხინიო. თუკი საქმე მატერიალურ დახმარებაზე მიდგება, სკოლის პირველი თანაშემწე და ხელის გამმართავი საავიაციო ქარხანაა. ერთობლივ ღონისძიებებს კი, სპორტი იქნება თუ გართობა-დასვენების საღამოები, ვერც მოთვლი. ქარხნისა და სკოლის კომკავშირის კომიტეტებს ბევრი საერთო საკითხი აქვთ შეტანილი სამუშაო გეგმაში და ამ საკითხებს ერთად ახორციელებენ. ახლაც, აგერ სულ ცოტა ხნის წინ, დიდი ზეიმი ჰქონდათ. სკოლის პიონერთა რაზმეული პავლიკ მოროზოვის სახელობისაა და ქარხნის მუშების მონდომებითა და მეცადინეობით სკოლის ეზოში გმირი პიონერის ქანდაკება დაიდგა. და კიდევ: ქარხნის კომკავშირის ახალგაზრდა ინჟინრებს შორის კონკურსი გამოცხადდა სპეციალური პულტის შესაქმნელად, რომელიც სკოლის მოსწავლეებს საშუალებას მისცემს მოაწყონ შეჯიბრებები დევიზით — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის!" ზუსტად ისეთი, როგორსაც ლენინგრადელი მოსწავლეები მართავენ და რომლებიც ხშირად გადაიცემა ხოლმე ცენტრალური ტელევიზიით.

ყოველივე ამის შემდეგ, რაღა გასაკვირია, რომ ოთარ ჯაოშვილს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაიმე ახალს კი არ იწყებდა, არამედ დიდი ხნის დაწყებულ საქმეს აგრძელებდა.

მომდევნო შეხვედრა მეორე დღისთვის დათქვეს. წესი წესია და, მომავალმა რაზმის ხელმძღვანელმა ქარხნის კომკავშირის კომიტეტიდან სათანადო დახასიათებაც მოიტანა. მისალმება და საქმიანი სჯა-ბაასის გაჩაღება ერთი იყო. შეხვედრას კლასის ხელმძღვანელი ბაბალე გაჩეჩილაძე და უფროსი პიონერხელმძღვანელი გულნაზ ხატოევაც ესწრებოდნენ. ცოტა არ იყოს, უკვირდათ გუნებაში — ეს ბავშვები



...იმ დღეს ბევრი რამ გადახალისდა რაზმის სამუშაო გეგმაში

ასე დაინტერესებულები და მოწადინებულები რატომ აქამდე არ გვინახავსო. მერე ის იყო, ოთარმა თქვა: — კეთილი, მაგრამ სულ ჩემი ქარხნის ამბებს რომ მეკითხებით. ახლა თქვენი სწავლისა და პიონერული მუშაობის შესახებაც ვილაპარაკოთ. ისევ მართლის თქმა სჯობს და აქ კი ცოტა დაიბნენ ჩვენი მერვეკლასელები — შეყოყმანდნენ. გაიტრუნენ. ბოლოს ბაბალე მასწავლებელმა თქვა: — რა გითხრათ, არ ვიცი, ეს სასწავლო წელი ჩემმა ბავშვებ-

ბა, როგორღაც დუნედ და მოუნდომებლად დაიწყეს. ვერც პიონერულ მუშაობაში ყოჩაღობენო მაინცდამაინც. იცოცხლეთ, გული დასწყდა ყველას ამის გაგონებაზე, მაგრამ რას იზამ და მართალს სად წაუხვალ. ლალი ტოგონიძე ახლა ღიმილით ამბობს: — მე იმისიც კი შემეშინდა, ჩვენს ახალ მეგობარს თავისი სიტყვა უკან არ წაეღო — ამისთანა ხალხთან საერთო რა მაქვსო. იქნებ სხვებმაც ასე იფიქრეს და იმიტომაც ერთბაშად ახმიანდნენ — რაც არის, ეგ არის, ასე აღარ გაგრძელდება, სხვაზე ნაკლები ჩვენ არა ვართო. ოთარმა ერთხანს უსმინა, მერე კი ხელით ანიშნა, დაწყნარდითო, სურვილი კარგია, მაგრამ საქმის გასაკეთებლად მარტო სურვილი როდი კმარა, ახლავე ყველანი უნდა დავსხდეთ და მოვიფიქროთ, რა გვიშლის სწავლაში თუ პიონერულ მუშაობაში ხელს, რას როგორ ვუშველოთო.

პიონერებს ისიც კარგად ენიშნათ, რომ მათი ახალი მეგობარი პირველ პირში ლაპარაკობდა და ამით ერთხელ კიდევ აგრძნობინებდა — ამიერიდან თქვენი და ჩემი საზრუნავი არაფერს გაუყვიაო. იმ დღესვე ბევრი რამ გადახალისდა რაზმის სამუშაო გეგმაში და პიონერთა შორის განაწილებული დროებითი დავალებებიც უფრო მოფიქრებულად შეცვალეს.

მალე სკოლაში პიონერული რაზმის ხელმძღვანელთა კურთხევა მოეწყო. პიონერულ ხაზზე მერვეკლასელებმა სიამაყით გაუკეთეს ყელსახვევი ოთარ ჯაოშვილს; ისინი მას უკვე საიმედო მეგობრად თვლიდნენ და თავიანთი ხელით მომზადებული ,,პიონერხელმძღვანელის სამახსოვროც", რომელსაც დევიზად აქვს სიტყვები: ,,იყავ მზად მომავალი თაობის აღსაზრდელად!" უფრო რიტუალის შესასრულებლად ჩააბარეს, ვიდრე აუცილებლობის გამო. ერთი კვირის შემდეგ რაზმის ხელმძღვანელმა თავისი უმცროსი მეგობრები სპექტაკლზე მიიწვია. უარი არავის უთქვამს. კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძის დასათვალიერებლად რომ წავიდნენ, მაშინაც ასე განმეორდა. ამ შეხვედრებმა უფრო დააახლოვეს ერთმანეთს ისინი. პიონერებმა ისიც გაანდეს რაზმის ხელმძღვანელს, — ჩვენს შორის ერთი ძნელად აღსაზრდელად ითვლება და მილიციის ბავშვთა ოთახში აღრიცხვაზეაო. ,,ძნელადაღსაზრდელი" კი რატომღაც სწორედ ის ბიჭი აღმოჩნდა, ვინც გაცნობის დღიდანვე მოუვიდა თვალში ოთარ ჯაოშვილს. მართალია, იგი სწავლით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მეგობრობასა და შრომაში არავის დაუდებდა ტოლს. მეორე დღესვე სახლში ეწვია იმ ყმაწვილს და ყველაფერი თვითონვე გაარკვია. ახლა ამაზე სიტყვის გაგრძელება აღარ ღირს, ის კი უნდა ითქვას, რომ მილიციის ბავშვთა ინსპექციის წინაშე შუამდგომლობა უკვე აღძრულია და მალე ის უსიამოვნო სახელი აღარ შეაწუხებს ბიჭის თავმოყვარეობას. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დამსახურებულად მოხდა და არა რაღაც უადგილო გულჩვილობის გამო. ასეთი რამ არ სჩვევია ოთარ ჯაოშვილს. პირიქით, ამბობს — მერვეკლასელები ახლა უკვე დიდები არიან და მათ გაცილებით მეტის გაგება და გაკეთებაც მოეთხოვებათო. ამიტომაც უყვარს მათთან ისეთი კამათი და საუბარი, როგორც ტოლს ტოლთან.

სხვა მხრივაც კარგად წავიდა რაზმის საქმე. რაც თავიდანვე დაისახეს მიზნად, იმას კიდეც მიაღწიეს — მეორე მეოთხედიდან მერვე მეოთხე კლასში არც ერთი ჩამორჩენილი აღარ არის და რაზმის ხელმძღვანელიც მზადაა მოსწავლეებისათვის მიცემული პირობა შეასრულოს — პიონერების დიდი ხნის სურვილია საესტრადო ანსამბლის ჩამოყალიბება; ამის გაკეთება ადრეც მოხერხდებოდა, ქარხნის ხელშეწყობითა და დახმარებით, მაგრამ ოთარ ხელმძღვანელმა თქვა, — ყველაფერს დამსახურება უნდა, ჯერ გაამართლეთ დევიზი — ,,ვისწავლოთ სინდისიერად" და დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთო.



სულ ჩემი ქარხნის ამბებს რომ მეკითხებით, ახლა თქვენი სწავლისა და პიონერული მუშაობის შესახებაც ვილაპარაკოთ — თქვა რაზმის ხელმძღვანელმა.

სალაპარაკოც აღარაფერია. საქმე საქმეზე მიდგა და მერვეკლასელები სულ მალე თავიანთი საესტრადო ანსამბლის დაბადებას იზეიმებენ.

ახლა უკვე იმდენია სათქმელი ოთარ ჯაოშვილისა და მერვეკლასელების მეგობრობაზე, რომ გული მწყდება, ამ პატარა წერილში ბევრი რამის უბრალოდ ხსენებასაც რომ ვერ ვახერხებ.

ის კი მაინც აუცილებლად უნდა ითქვას, ამას წინათ, ერთხელ კიდევ, როგორ გაახარეს თავიანთი რაზმის ხელმძღვანელი პიონერებმა. ეს მოხდა სასკოლო კონფერენციაზე, რომელიც სკოლაში ტრადიციულად იმართება და, რომელიც მომავალი პროფესიის არჩევაზე საუბარს ეძღვნება ხოლმე. კონფერენციამდე კლასებს შორის კონკურსი გამოცხადდა, საუკეთესო თემები კი მოსწავლეებმა საჯაროდ წაიკითხეს და განიხილეს. მოწონებულთა შორის იყო მერვეკლასელი პიონერის — ლალი ტოგონიძის თხზულებაც დევიზით: ,,შრომა — ადამიანის ბედნიერების წყარო". კონფერენციას მთელი სკოლა ესწრებოდა და კიდევ — ბევრზე ბევრი საპატიო სტუმარი. თქვენთვის ალბათ გასაგებია, როგორი იქნებოდა მერვეკლასელთა რაზმის ხელმძღვანელის სიხარული, როცა ისმენდა, რომ მთელი თემა გოგონას მისთვის, ახალგაზრდა მუშისათვის მიუძღვნია და მისი ცხოვრება თანატოლებისათვის მისაბაძად და სანიმუშოდ წარმოუსახავს.

და ეს მარტო ერთი მოსწავლის აზრი როდია. ასე ფიქრობს მთელი მერვე მეოთხე, რომელსაც საკუთარი თავის რწმენა განუმტკიცა ახალმა რაზმის ხელმძღვანელმა.

ოთარ ჯაოშვილი ამბობს: ამიერიდან ჩვენი გზები აღარ გაიყრება, მე მათთან ერთად ვიქნები, ვიდრე სკოლას დაამთავრებენ...

ვიდრე სკოლას დაამთავრებენ?

არა, ისინი ერთად იქნებიან მერეც, მათ ერთმანეთი აუცილებლად ემახსოვრებათ წლების შემდეგაც, იმიტომ, რომ ასეთია ჭეშმარიტი მეგობრობის წესი და რიგი.

მერვე მეოთხეში უმრავლესობა ბიჭები არიან. ვიცი, არ მიწყენენ და მათს ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ — მათ შორის ბევრს, თითო-ოროლას კი არა, ბევრს უნდა სკოლის დამთავრების შემდეგ იმუშაოს იმ ქარხანაში, სადაც ახლა მათი რაზმის ხელმძღვანელი, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი, კომუნისტური შრომის დამკვრელი ოთარ ჯაოშვილი მუშაობს.

რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად იქნება, სწორედ ისე, როგორც ეს მერვე მეოთხეკლასელებს სურთ, ოღონდ მონდომება და ენერგია არ დაიშურონ — კვლავაც ასე იბეჯითონ ყველაზე ლამაზ სახლში, რომელსაც სკოლა ჰქვია, და კვლავაც ასე უერთგულონ მეგობარს, რომელიც მათი რაზმის ხელმძღვანელია.

ფოტო ვ. ბორისენკოსი

## აპრილი — დიდი მესტვირე

ჩეტა ვინ მორთო სოფელი
დედოფლის თეთრი ხელებით?!
ბაღში შეირხნენ ტყემლები
თუ ფარფატებენ პეპლები,
დაეშვნენ ცისარტყელები
და ცვივა თეთრი ყვავილი —
ეს აპრილია,
აპრილი!

ეს აპრილია,
აპრილი, —
სიმღერა აღარ მეძნელა!
მოლს ფარავს
ატმის ყვავილი,
თეთრად მორთულა ენძელა,
ვით თეთრ ჩოხაში ყმაწვილი.

სალამი მალხაზ ბიჭუნებს,
ჩემი სალამი გაზაფხულს,
ცისფერნისკარტა ჩიტუნებს,
უხილავ ყალმით დახატულთ,
სალამი
ჩვენს დიდ გაზაფხულს!

სალამი
მთებს და ჭალაკებს
და შავთვალება ყაყაჩოს.
სალამი
ლომგულ ვაჟკაცებს, —
ვინაც ჩვენს რწმენას აკაჟებს

და დიდ სამშობლოს დარაჯობს!
ბაღში შეირხნენ ტყემლები,
გესმის გუგულის ძახილი?
დაეშვნენ ცისარტყელები
და ცვივა თეთრი ყვავილი,
ვით მოფარფატე პეპლები!



# შალვა ფორჩხიძე

ცნობილ ქართველ პოეტს შალვა ფორჩხიძეს დაბადების 60 წელი შესრულდა.

ჟურნალ „პიონერის" რედაქცია და სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავენ იუბილარ პოეტს თავისი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ დღეგრძელობას და შემოქმედებით წარმატებებს.

გთავაზობთ შალვა ფორჩხიძის ახალ საგაზაფხულო ლექსებს.

## მზე პირს იბანს

გადივერცხლნენ ბილიკები,
გადივერცხლნენ ვენახები...
ეღიმებათ მზესუმზირებს:
— მზეო, წვიმით გვეახელი?

მზის სხივები აწვიმს ფოთლებს,
ციდან წვიმაც მოდის წვრილად...
მზე პირს იბანს,
მზე პირს იბანს,
მზე არის და მოდის წვიმა...
მზე არის და სცრის ფოთლებში,
ცა აჟღერებს სხივთა ებანს...
მოდის წვიმა,
წვრილად,
წვრილად,
მზე პირს იბანს,
მზე პირს იბანს!

მზე პირს იბანს,
განიბანა
მზის ნაბანით დედამიწა...
მიწა
მწვანით გადიბარდნა,
მზეც იყოს და ვერცხლის წვიმაც...

## ორთავ თვალის სინათლევ!

შენ ხარ ჩემი სანუკველი,
ორთავ თვალის სინათლე,
აწ შენ უნდა მომამრავლო
ქვეყნად მზე და სიმართლე!

შენ ხარ ბედი,
რაც მეღირსა,
რაც შენამდე ვინატრე,
ფერი წითელ ალმებისა,
ორთავ თვალის სინათლე!

შენ ხარ ძალა მომავლისა,
მტერიც გაგიტიალდეს,
არ მომაკლო
შუქი მზისა,
ორთავ თვალის სინათლევ!
მე თუ მალე დაგაკლდები,
შენ
სულ წაღმა იარე,
შემოუდგი მზეს აკვნები,
ორთავ თვალის სინათლევ!

შენ ხარ ჩემი მტრისთვის რისხვა,
ჩემი ქვეყნის სიმართლე,
აკვნიდანვე აბჯარს ისხამ,
ორთავ თვალის სინათლევ!

შენთვის
რას არ გავუძელი,
შენთვის
რა არ ვინატრე...
შენ ხარ
ჩემი სანუკველი,
ორთავ თვალის სინათლე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგო თომაძე

მხატვარი ჯემალ ლოლუა

# დიდგორზე

თენდებოდა. დიღმისკენ მიმავალ გზაზე ცხენის ფლოქვების თქარუნი გაისმა. სოფლისაკენ ეტლი მიქროდა. მონადირის ტანსაცმელში გამოწყობილ ახალგაზრდას გაშლილი მხრები რბილ სავარძელზე მიეყრდნო, თავი ლაღად გადაეწია და ცაზე აცურებულ ღრუბელს შესცქეროდა.

— არა, ეს ღრუბელი წვიმის არ არის, — თავზე ხელი გადაუსვა ფერხთით გაწოლილ ყავისფერ პოინტერს.

მაისის დილა იყო. სუფთა და ნამიანი. სოფელს უკვე ეღვიძა. ეტლის დანახვაზე გამვლელები წუთით ჩერდებოდნენ და თვალს აყოლებდნენ ახალგაზრდა მგზავრს.

— მღვდლიანთ სტუმარია, — გაეხმაურნენ ერთმანეთს ქალები.

ეტლი ორსართულიან სახლთან შეჩერდა. ჭიშკართან ხანდაზმული მანდილოსანი გამოეგება სტუმარს.

— ფეფო, შვილო, გამოიხედე, ვინ გვეწვია! — გასძახა ქალიშვილს.

ახალგაზრდა სწრაფად გადმოხტა ეტლიდან. ქალის გამოწვდილ ხელს ორივე ხელი შეაგება და ეამბორა. ქალი სტუმარს წინ წაუძღვა. აივანზე ავიდნენ.

— ფეფო, გენაცვალე, — მოხვია მხარზე ხელი სტუმარმა ქალიშვილს, — დიდგორზე სანადიროდ მივდივარ. მარტო ხეტიალი მეზარება, იქნებ თანამგზავრი შემირჩიო ვინმე, ოღონდ, არც ყბედი იყოს, არც მონადირე.

ფეფო ერთხანს დაფიქრდა, თვალი გადაავლო გაშლილ ეზოს, რაღაც გაახსენდა, სტუმარს შეხედა და გაუღიმა.

— ისეთ თანამგზავრს გაგატან, მისი ერთი სიტყვაც სანატრელი გაგიხდება.

საუზმეზე სტუმარმა უარი თქვა. მალე ეტლი სოფლის სკოლისაკენ დაიძრა.

— შენი თანამგზავრი ჩვენი სკოლის ახალი მასწავლებელი იქნება. სკოლაშივე აქვს ერთი პატარა ოთახი. განათლებული კაცია. ლექსებსაც წერს. ისეთი ჩუმი და მორიდებულია, დღეში სამ სიტყვას არ იტყვის ზედიზედ.

ეტლი სკოლასთან დადგა. აივანზე მაღალი, შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი იდგა; ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და მოსულთ გასცქეროდა. მან შორიდანვე იცნო მღვდლიანთ სტუმარი.

— არნო, — უხმო მას ფეფომ.

— იცნობდე, დიღმის სკოლის მასწავლებელია, — მიმართა ქალიშვილმა სტუმარს. — ეს მონადირე კი ვანო სარაჯიშვილი გახლავთ.

— ვიცი, — ყრუდ ჩაილაპარაკა არნომ.

— ნადირობა თუ გიყვართ? — ჰკითხა სარაჯიშვილმა.

— ჯერ თოფი არ მჭერია ხელში, — მიუგო მასწავლებელმა.

— მეც სწორედ ეგეთი თანამგზავრი მინდა. დიდგორზე მივდივარ სანადიროდ. გამომყვებით?

— ბედნიერი ვიქნები...

ფეფო შინ მიაცილეს და სოფლის ბოლომდე ეტლით აიარეს. გაანჩხლებული ქოფაკები ორღობეში ყეფით მისდევდნენ ეტლს. გზის ორივე მხარეს არშიასავით მიჰყვებოდა თეთრად შეფიფქული ალუჩისა და ნუშის, ტყემლისა და ატმის ხეები. ვენახებიდან ვაზის ყვავილის სურნელი იფრქვეოდა. ეტლი დიღმის ხევთან შეჩერდა.

— საღამომდე თავისუფალი ხარ, ეტლი მღვდლიანთა გააჩერე, — უთხრა ვანომ მეეტლეს.

ნელი ნაბიჯით გაუყვნენ ბილიკს. მიდიოდნენ უხმოდ. ძაღლი წინ გარბოდა.

„ნეტავი, რა დარდი აქვს ამ ბედნიერ კაცს. რატომ არის ფერმკრთალი და სევდიანი?“, — ფიქრობდა არნო. თვითონაც არ იყო გუნებაზე. მთელი ღამე თეთრად გაათენა, ლექსებს წერდა. მისი ოთახის პირდაპირ, ეზოში, საქორწინო სუფრა იყო გაშლილი, ზურნა ჭყვიტინებდა, ქორწილი იყო და მერე ვისი? ვინც უეცრად შეუყვარდა და უცბადვე გაუფრინდა. ნეფე-დედოფალს აღლეგრძელებდნენ, ის კი მთელი ღამე წერდა და წერდა ლექსებს, თამბაქოს ეწეოდა. გული დამძიმებული ჰქონდა.

... უხაროდა, იქაურობას რომ მოშორდა და სათაყვანებელ მომღერალთან გაატარებდა მთელ დღეს. ორივე დაფიქრებული მიჰყვებოდა მაღლა-მაღლა მიმავალ ბილიკს. დიდხანს იარეს უბრად. მაღლობზე ვეებერთელა ცაცხვის ხე იდგა, ერთ მხარეს ნახევრად შიშველი ფესვები მოუჩანდა. იქვე, თითქოს ცაცხვის ფესვებიდან, ჟონავდა წყარო.

— აქ შევისვენოთ, — შესთავაზა თანამგზავრს ვანომ. — ამ წყაროს დიდვარცლის წყაროს ეძახიან. უკვდავების წყაროსავით აქვს სახელი გავარდნილი.

ცოტა წყალი შესვეს. ვანო მოლზე გულაღმა წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო. ხის კენწეროზე ყვავი შემოჯდა და აჩხავლდა.

— რა უნდა ამ ყვანჩალას ჩვენგან, რას დაგვჩხავის! ახი არ არის, ვესროლო! — გაეღიმა ვანოს. — არნო! — გახედა თანამგზავრს, — დაჯექი, დაისვენე, რატომ დგახარ?

— ეგრე მირჩევნია, — ძლივს ამოღერღა არნომ.

— თუ დასვენება არ გინდა, წავიდეთ, — წამოდგა ვანო. — ერა! — დაუძახა ძაღლს. ძაღლი ბუჩქებიდან გამოძვრა და ენაგადმოგდებული მიიჭრა პატრონთან.

კარგა ხანს იარეს მდუმარედ. ნელა-ნელა შეუდგნენ დიდგორის აღმართს. ვანო ხანდახან შეჩერდებოდა, თითქოს რაღაცას უსმენსო. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. ბუჩქნართან თოფი მოიმარჯვა. მონადირის წინ კაკაბმა შეიფრთხიალა. ძაღლი ადგილზე გაქვავდა. არნო გასროლას ელოდა, მონადირე კი... არ ჩქარობდა. ვანომ არც ძაღლისაგან დამფრთხალ კურდღელს ესროლა. არნოს უკვირდა მონადირის გაყუჩება, მაგრამ არაფერს ამბობდა. მზე რომ გადაიხარა, უკვე დიდგორის ქედზე იყვნენ. სარაჯიშვილისათვის ეს ქედი ნაცნობი იყო. არნო ონელი კი დიდგორზე პირველად მოხვდა, მის წინ საოცარი სანახაობა გადაიშალა: ქართლი, კახეთი, კავკასიონის მთაგრეხილი... ჭაბუკი პოეტი მოხიბლა დიდგორის გადასახედმა, ცივმა წყაროებმა... თავი ოლიმპზე ეგონა, სიმღერის ღმერთიც აქვე, მის ახლოს იდგა.

— არნო! როგორ მოგწონს დიდგორის ქედი? „მეფის სამყოფი მთა საჭვრეტელი“. ხედავ მანგლისთან გაშლილ ველს? ეგ დიდგორის ცნობილი ველია, სადაც დავით აღმაშენე-

ბელმა რიცხვმრავალი მტერი დაამარცხა და უკუაქცია. ნეტავ სად იდგა აქ მეფის კარავი, საიდან გადასცქეროდნენ ბრძოლის ველს? ჩვენი იარაღი, ჩვენი სპილოები — ჩვენი მთებია, — უთქვამს მეფე დავითს, — მითხრა ერთხელ პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა.

არნო გათანგული გასცქეროდა დიდგორის ველს.

— რას გაჰყურებ ეგრე დაჟინებით, მამა-პაპათა სისხლი ხომ არ ამოსჩქეფს სადმე? — შეეხმიანა ვანო ონელს. ონელი სარაჯიშვილისაკენ შემობრუნდა. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვიდრე ის სიტყვას ამოღერღავდა, ვანომ დაასწრო: — საოცარი სიჩუმეა! გინდა სულ უსმინო ბუნების ამ საიდუმლო სიმფონიას, — ჩაიჩურჩულა და ნელი ნაბიჯით ჩაუყვა ფერდობს. არნო შელოცვილივით იდგა ერთ ადგილას და თვალს არ აშორებდა უცნაურ მონადირეს. ტყის პირას, იქ, სადაც გზაწვრილი იწყებოდა, ვანო შეჩერდა და ამ სიჩუმეში მოულოდნელად გაისმა სევდიანი სიმღერა:

ვეძებდი ბედსა და ვპოვე ხელად,
ბედმა ჩამაგდო მე განსაცდელად...

...მღეროდა ტყეში გაჭრილი აბესალომი. უხმობდა სატრფოს... ტოტებაწვდილი ხეები თითქოს ფეხისწვერებზე იდგნენ და უსმენდნენ. ჩიტებიც განაბულიყვნენ. მოჯადოებული არნო ონელი, ეს აუჩქარებელი კაცი, სწრაფად დაეშვა დაღმართზე. ვანო ტყე-ტყე მიჰყვებოდა გზაწვრილს. არნო წამოეწია. გულით უნდოდა, რომ გადახვეოდა და გადაეკოცნა, მაგრამ ვერ შეჰბედა, ენაგადაყლაპულივით უხმოდ მიჰყვებოდა უკან.

— ერთი კურდღელიც კი ვერ მოვკალი. დღეს ჩემი დღე არ არის, ხელმოცარული ვარ, — უთხრა ვანომ, — ასე ტყე-ტყე ვიაროთ, იქნებ რამეს წავაწყდე.

არნო გუმანით მიხვდა, რომ სარაჯიშვილი დღეს სანადიროდ არ იყო წამოსული.

მოსაღამოვდა. ჩიტები აწრიალდნენ, აჟივჟივდნენ. ვანო ხშირად ჩერდებოდა და უსმენდა ფრინველთა ძილისპირულს, ტყის ჩურჩულს. ზოგჯერ ხმამაღლა წამოიძახებდა: — დახე, დახე, როგორ სტვენს, როგორ აწკრიალებს ხმას! ნეტავ რომელია? — ნადირი კი არსად ჩანდა და მონადირე არც ეძებდა მას, რამდენჯერაც ძაღლი გაინაბებოდა, ის თვალს არიდებდა. მზე ჩადიოდა. ბინდდაკრული მთები დევებივით წამოწოლილიყვნენ. ბუნება ზეიმობდა დაისის დღესასწაულს. დაღმართი სწრაფად ჩამოიარეს.

ფეფოს ვახშამი მოემზადებინა და სტუმრებს ელოდა.

— ეს რა შესანიშნავი თანამგზავრი გამაყოლე: სიტყვაძუნწი, ჩაუმუხლავი, ბუნების ტრფიალი, უკეთესს ვერც ვინატრებდი, — ეზოში შესვლისთანავე მოახსენა მადლობა ვანომ შემოგებებულ ფეფოს.

სახელდახელოდ ივახშმეს. ვანო ჩვეულებრივად მხიარული არ იყო. ჩქარობდა. არნოს უნდოდა მადლობა ეთქვა ასეთი ბედნიერი დღისათვის, მაგრამ სიტყვები ყელში ეჩხირებოდა.

— ფეფო, კვირას, ესე იგი ზეგ, „აბესალომს“ ვმღერი, ალბად მოხვალ. ბილეთები თქვენთვის გადადებული იქნება, — უთხრა დამშვიდობებისას მასპინძელს ვანომ და თანამგზავრიც დაპატიჟა.

...კვირას ფეფომ და არნო ონელმა ძლივს შეაღწიეს ოპერის თეატრში.

მწარედ დასტიროდა თავის ბედს ვანო — აბესალომი. დარბაზი მძიმედ სუნთქავდა. იჯდა გულჩათხრობილი ონელი — თვალწინ უნებურად გაუელვებდა ხოლმე დიღმის ხევში დაკლაკნილ ბილიკზე მიმავალი ახალგაზრდა მონადირის ლანდი. ფარდა რომ დაეშვა, გვერდით თვალცრემლიანი მანდილოსნები შენიშნა. უცებ ყველაფერი ტაშის გრიალმა დაფარა.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, ოპერის ბაღთან სხვა თაყვანისმცემლებთან ერთად, დიდხანს ელოდა ვანოს მისი დიღმელი თანამგზავრი არნო ონელი. ვანო გვიან გამოვიდა თეატრიდან. დაღლილი იყო, ფერმკრთალი, აღგზნებული. ეტლი არ ინდომა. ნელა გაუყვა პროსპექტს. მიდიოდა ჩუმად, როგორც იქ, მთის ვიწრო ბილიკებზე. გვერდით მეგობრები მოჰყვებოდნენ. უკან — თაყვანისმცემლები. ზედიზედ ეწეოდა პაპიროსს. მისეულ ნამწვავებს კი ქალიშვილები იღებდნენ და ვერცხლის სათუთუნეში აწყობდნენ, სახსოვრად ინახავდნენ. არაგვის ქუჩაზე კუთხის სახლთან შეჩერდა, გამცილებლებს გაუღიმა, გულზე ხელი მიიდო და თავი მდაბლად დაუკრა. მადლობა მოახსენა; დიღმელი მასწავლებელიც შეამჩნია, ხელი დაუქნია და ეზოში შევიდა. კარგა ხანს იდგა ონელი არაგვის ქუჩის კუთხეში. მის წინ ქალიშვილები პაპიროსის ნამწვავებს ითვლიდნენ და ისევ სათუთუნეში აწყობდნენ.

— თერთმეტი, — დაიძახა ერთმა.

— უჰ, რამდენი მოუწევია! — თქვა მეორემ.

— გოგოებო, ზოგი თითქმის მთელია გადაგდებული.

— ეგრე განიცდის და ღელავს, შვილებო, ვანო, როცა აბესალომს მღერის, — უთხრა ქალიშვილებს ხანდაზმულმა მანდილოსანმა და იმავე ეზოში შევიდა, სადაც რამდენიმე წუთის წინ სარაჯიშვილი გაუჩინარდა.



# მოსწავლეთა შემოქმედება



ბავშვთა საერთაშორისო წელთან დაკავშირებით გთავაზობთ, როგორც საქართველოს, ისე მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ნორჩ შემოქმედთა ნამუშევრებს, რომლებიც მოგვაწოდეს საბავშვო ჟურნალების რედაქციებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემი სოფელი

სურათი

ძალიან ლამაზია ჩემი სოფელი. იგი თბილისიდან მანქანით სულ ნახევარი საათის სავალზეა. ჩვენი სახლი განცალკევებით დგას, მტკვრის პირას. ჩვენს ეზოს სამი მხრიდან მთები აკრავს. სახლს ერთი მხრიდან ხევი ჩამოუდის, რომელშიც ანკარა წყალი მორაკრაკებს. ეზოს ბოლოში ხევი ძლიერ ვიწროვდება. ამ ადგილას ძალიან ლამაზი ჩანჩქერი გადმოჩქეფს. პიტალო კლდეს სუროკრიკინები შემოხვევია, ამიტომ აქ ხშირად ისმის შაშვების ჭახჭახი.

ზამთარში ირგვლივ ყველაფერი თოვლითაა დაფარული. დათოვლილი მთები მოწყენით დაჰყურებენ სოფელს. ჩვენი სახლის მახლობლად ულრანი ტყეა. ტყისკენ მიმავალი ბილიკი ჩვენს ეზოსთან იწყება. თუ ტყეში შეხვალთ, თოვლზე პატარა ნაფეხურებს შეამჩნევთ. ეს სარჩოს საძებრად გამოსული კურდღლებისა და ციყვების ნაკვალევია.

გაზაფხულზე, როგორც კი დათბება — თოვლი დნება. ადიდდება, აბორგდება მტკვარი და ნაპირს მოაწყდება. კალაპოტში რომ ველარ ჩაეტევა — მთელ ჭალებს დატბორავს. სახლის წინ, იასამნის ბუჩქებქვეშ, თავს ამოჰყოფს ენძელა, ყოჩივარდა, შემდეგ — ია. მისი ნაზი სურნელი არემარეს ეფინება. ჰაერში ფუტკარი ზუზუნებს. თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებიან ფრინველები და მათი ჟივჟივი გარემოს აცოცხლებს. საღამოობით ბულბული შემოჯდება იასამნის ტოტზე და გალობას იწყებს. ამ დროს ხმის ამოღებაც არ შეიძლება, რომ მგალობელი არ დაფრთხეს.

ზაფხულში აქ ძლიერ აცხუნებს. თვალდათვალ ვამჩნევთ, როგორ იკლებს წყალი მტკვრის კალაპოტში. აივნიდან ყოველდღე ვხედავთ მეთევზეებს, რომლებიც დილიდან საღამომდე ანკესებთან და ბადეებთან ტრიალებენ. დაუღალავად ჭრიჭინებენ ჭრიჭინობელები, თითქოს ეშინიათ, სიცხისაგან გათანგულ ბუნებას არ ჩაეძინოსო. შუადღისას ისე ჩამოცხება, რომ ფოთლები სულს ღაფავენ. საღამოს კვლავ აგრილდება. ღამით შავ ცაზე ვარსკვლავები აკიაფდებიან. მალე მთვარეც ამოვა და ირგვლივ ყველაფერს სპილენძისფერი დაედება.

შემოდგომით ჩვენს ეზოში მწიფს ვაშლი, მსხალი, ყურძენი, წელში გადრეკილან ოქროსფრად დახუნძლული ხურმის ხეები. სოფელში შემოდგომის სურნელი ტრიალებს. მტკვარგაღმა ფერდობი ჯერ ცეცხლისფრად შეიფერება, შემდეგ ყვითელი გამოერევა, ბოლოს კი ყავისფერი და ნაცრისფერი. ხეობიდან გამჭოლი ქარი წამოუბერავს და ხეებიც სულ განიძარცვებიან სამოსელისაგან. მხოლოდ ეზოს წინ ჩამწკრივებული ნაძვები დგანან წარბშეუხრელად. დღე სულ უფრო მოკლდება. აღარ ისმის ჩიტების გალობა, ჭრიჭინობელებიც ჩუმდებიან. არემარე გაისუსება ზამთრის მოლოდინში.

ჩემი სოფელი წელიწადის ყველა დროს ძალიან ლამაზია.

ლელა გოთუა,
თბილისის 24-ე საშუალო სკოლა,
VI კლასი.

## მწვერვალისაკენ

(ჩანახატი გურამ თიკანაძის სურათის მიხედვით)

წინ სითეთრეა. სითეთრეა უკანაც. სითეთრეა მთელ სივრცეში. სითეთრე, სიცივე და ქარი. მხოლოდ ჩაბმული თოკია შენი მეგობარი. წინ გზაა გაუკვალავი, წინ მწვერვალია დაუპყრობელი.

შენ ჯიუტი ხარ, უნდა ახვიდე. შენ საშინელი ჯიუტი ხარ. გული კი... მას სითბო ენატრება, სიმწვანე ენატრება, შვილის კისკისი და საყვარელი მეუღლის სინაზე ენატრება...

სწორედ ამიტომ ხარ ჯიუტი. ახვალ...

მწვერვალს გამარჯობას ეტყვი, კაცურად გაესაუბრები, იმასაც ეტყვი, როგორ გენატრება იქ, დაბლა რომ სითბოა და სიმწვანე.

მაინც რამდენი ყვავილია დაბლა!..

აქ მხოლოდ ჩაბმული თოკია შენი მეგობარი.

არ აჩქარდე, დაბლა სითბოა და სიმწვანე. ჰაუ, რამდენი ყვავილია დაბლა!..

ირინა დგებუაძე,
ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლა,
IX კლასი.

ნინო სიხარულიძე,
თბილისის 161-ე საშუალო სკოლა,
X კლასი.

## იქნებ არ გჯერა

იქნებ არ გჯერა, მე მზეს ვაკოცე ერთხელ.
— რატომ ცრუობო, — მეუბნები. ვტყუივარ განა?
ფეხის წვერებზე ავიწიე, ცას შევწვდი უცებ.
ცა იყო მშვიდი, ცა იყო ნაზი და ცისფერთვალა
და ცისფერ თაღზე დაცურავდა წითელი ბურთი!..
მეც მასთან ერთად დავცურავდი კიდით კიდემდე.
მერე მოფრინდა ბინდისფერი ღრუბლების გუნდი,
საღამოისას გაფერმკრთალდა წითელი ბურთი
და მაშინ ჩემი წასვლის დროც დადგა.
ზეციდან ჩვენი დედამიწა წერტილად ჩანდა,
მაგრამ მე მაინც ამ წერტილზე მინდოდა ყოფნა.

ქურანა ღრუბელს მივაყუდე ოცნების კიბე,
ჩამოვყევი და დავეშვი კიდეც.
მაინც არ გჯერა, რომ მზეს ვაკოცე?
— რატომ ცრუობო, — მეუბნები. ვტყუივარ განა?
ისე, შემთხვევით გავიხსენე. თორემ სათქმელად
ეს ამბავი არც ღირდა ალბათ.

16280

## დიდ სიხარულში...

სევდას გრძელი წამწამები ჰქონდა,
მორცხვი გოგო იყო, ძალზე მორცხვი, —
ფანტელებს მოჰყვა და ზამთრის ბინდში
ჩემი სარკმელი როგორ იპოვა, დღესაც მაოცებს...
სულ არ მწყენია მისი სტუმრობა, ერთმანეთს შევრჩით, —
მან სიხარულის ფასი მასწავლა!..
და რა ძნელია ტკივილის თმენა,
მე ახლა ვხვდები — მისი წყალობით.
სულ აღარ მინდა თოვლის ფანტელებს
უკანვე გაჰყვეს დობილი ჩემი,
რომელსაც, ვიცი,
თქვენ არასდროს კარს არ გაუღებთ,
აბა, ვის გინდათ თავსმოხვეული დარდი და იჭვი,
დე, დარჩეს ჩემთან, —
დიდ სიხარულში გათქვეფილი პატარა სევდა.

## მუდარა...

ნუ დამიკარგავ შაშვის გალობას, დილით რომ მესმის, —
დღე სილამაზით იწყება ჩემთვის...
ნუ დამიკარგავ ჩემს წილ სითბოს, ჩემს წილ სინათლეს, —
ამაზე ძვირფასს ვეღარაფერს ვეღარ ვინატრებ.
სიმართლის თქმას ნუ ამიკრძალავ, მალაპარაკე!
ფრთებს ნუ შემაჭრი დროზე ადრე,
თორემ ვინ იცის, დამარცხებული იქნებ ოცნებას გადავეჩვიო.
ნუ დამიკარგავ ბეწვის ხიდზე შედგომის სურვილს,
ნუ დამიკარგავ ჩემს წილ ტკივილს და ჩემს წილ სევდას,
ია-ვარდებით ნუ მომიფენ ჩემს სავალ ბილიკს, —
მე მირჩევნია დაუმცხრალი სისხლი მტკიოდეს,
მე მირჩევნია შუბლზე სიმწრის ოფლი მდიოდეს, —
თუ არ გეტკინა, ვერასოდეს ვერ იგრძნობ შვებას.
ნუ დამიკარგავ ბრძოლისა და ჭიდილის უნარს, —
ხომ კარგად იცი, სიკვდილს უდრის მისი დაკარგვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საიდან მოდის გაზაფხული...

1979 International Year of the Child

საიდან მოხველ, დედოფალო,
ღიღილოსფერი კაბით?
დაგკაწვრია თეთრი ფეხები.
მზისფერთმიანო დედოფალო, საიდან მოხველ?
ნაცრისფერ ქალაქს სწორედ შენი ღიმილი აკლდა,
და თბილი ხელი.
მხარზე მზე გიზის, განაბული ბეღურასავით,
გეალერსება, გეფერება, გეჭიკჭიკება,
თბილი სხივები დედასავით გეალერსება.
თქვი, დედოფალო, საიდან მოხველ?!

და ახმიანდა აკაციის პატარა ტოტი:
— მე მზიდან მოველ, ატმისფერი მომაქვს, დღეები!..

✻ შეჯიბრი. გია გლურჯიძე 9 წლის




კ. მარქსის სახ. საქ.
სსრ. სახელმწიფო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა



ოლია ნიკიშინა. ქ. მინსკი.

## მაქმანი თოვლზე

თოვლი ვერცხლივით წკრიალებს ფეხქვეშ,
ფრთხილად მივყვები გათოშილ ბილიკს,
მზის სუსტი სხივი ეცემა თხემზე
და გზაზე ნელა ირწევა ჩრდილი.
ბორცვიდან ბორცვზე გზა ადის, ჩადის,
და ამ გზით ტყისკენ მეც ვეშურები.
როგორც მაქმანი, თეთრ თოვლზე ნადირს
მიმოუქარგავს ნაფეხურები.
მიდის ღრმა კვალი მდინარის ახლოს
და მერე ფარავს ძეწნარი ვრცელი,
ჩამორჩენია ტყის ღორებს ტახი,
ჩაცუცქებულა და ღამეს ელის.
აი, ყურცქვიტაც ელამთვალება,
ეტყობა, რაღაც ეძება ჯაგში...
კვალი დავკარგე, მაგრამ წვალებით
ვიპოვე, ჯაგს რომ გამოვცდი, მაშინ.
როგორ ამხტარა! ეტყობა ამ კვალს,
რაღაცამ მაგრა დააფრთხო იგი.
ჰგავს მთელი ბორცვი თეთრ, ლამაზ ნაქარგს,
ეს მელაკუდას კვალია ირგვლივ.

ალექსანდრე ისაჩენკოვა,
11 წლის, ქ. პოჩინოკი.

## დაბრუნდებიან?!

საკვამურებიდან კვამლი მონაცრისფრო ბოლქვებად ამოდის და ცისკენ ზანტად, ნელ-ნელა მიიწევს, გაავებული სუსხიანი ქარი ბრაზიანად ეხლება კედლებს და კვამლის ღუნღულა ბოლქვებს გაშიშვლებულ ხის კენწეროებს ახვევს. ცივა, გარეთ არავინ ჩანს, სიცოცხლეზე მხოლოდ საკვამურები მეტყველებენ: ბოლავენ, ბოლავენ თითქოს დაუსრულებლად. მხოლოდ ერთი სახლიდან არ ამოდის კვამლი, ფიცრული სამზადი აღარა ჩანს. მის ადგილას უმტვერო, სპეტაკი თოვლი დევს. ჭრიალა კარები, რომელიც სამზადსა და საძინებელს ერთმანეთისაგან ყოფდა, ჩამოუღიათ. აღარავითარი სიცოცხლის ნიშანწყალი. ქარი ბოროტი ხითხითით დათარეშობს ოთახში და ადგილ-ადგილ აგლეჯილ შპალერს საცოდავად აცახცახებს. ცარიელია ოთახი — ყველაფერი წაუღიათ, ყველაფერი, თვით ფეხებმორყეული სკამი და ჩაჟანგებულ-ჩაჭყლეტილი ღუმელიც კი. მხოლოდ ერთი არსება დავიწყებიათ, იგი კარებში წევს გაძიძგნული და წირპლიან თვალებს მალიმალ აფახურებს, რა მალე დასტყობია უპატრონობა! ჩავარდნილი ფერდები უტყვი მოწმეა, რომ ძაღლს ულმერთოთ შია. იგი ზღურბლზე წევს და იავარქმნილ სახლს დარაჯობს. თვალებს ფხიზლად აცეცებს. დაბრუნდებიან? დაბრუნდებიან?! ნახევრად მიმქრალ თვალებში თითქოს იმედი უკრთისო. სადღაც ძაღლმა შეჰყეფა, კარმა გაიჭრიალა. ოდნავ გამოცოცხლდა, წამოიწია. ხმაური მიწყდა. მიწვა. მის თვალებში ახლა მხოლოდ ლოდინის სიმძიმილი ჩანდა.

გვერდით წითურმა ძაღლმა ჩაურბინა — კონსერვის ქილას მიარბენინებდა, კარებში მწოლიარეს თვალები ბრაზიანად შეანათა და თეთრი ეშვები გამაფრთხილებლად გააელვა. წამოდგა, წელი ძლივს წამოსწია, რამდენიმე ნაბიჯზე სდია, ქილა გემრიელ სუნს ტოვებდა. შედგა, კვლავ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, კიდევ შედგა, გაღებული პირიდან ვარდისფერ ლაშზე ნერწყვი ჩამოედინა, მიბრუნდა თავდახრილი, კვლავ კარებში ჩაწვა. ქარი ქრის, ძაღლს თვალებში თოვლის კორიანტელს აყრის, ძაღლი თვალებს წკურავს, სახლში მაინც არ შედის (შინ შესვლას უკრძალავდნენ), თან აქედან უფრო კარგად მოჩანს სოფლის გზა... მოვლენ? მოწკურული თვალებიდან მბჟუტვარე იმედი იყურება: ლოდინი, ლოდინი... დაბრუნდებიან?!

წასულან, ყველაფერი წაუღიათ — ფეხებმორყეული სკამი, ჟანგიანი, დაჭყლეტილი ღუმელი, ყველაფერი, გამოსადეგი და გამოუსადეგარი, მხოლოდ ის დავიწყებიათ. ძაღლი კარებში წევს, გაძიძგნული და წირპლიან თვალებს აფახურებს, რა მალე დასტყობია უპატრონობა!

## ველს გათიბულს ეზმანება ყვავილები

ქარი ალვებს აშრიალებს აქეთ-იქით
და ფოთლები ხეზე შიშით კრთიან,
ველზე ყრია მზის სხივები დატეხილი
ჰო, ქარები სევდიანად ქრიან.

ველს გათიბულს ეზმანება ყვავილები,
დაუბელავ ტირიფების ჩერო,
ღიღილოთი შებნეული გულისპირი
ცელმა როგორ შეაწყვიტა მდელოს.

## საქართველოვ, სიყვარული შენი

მესმის, როგორ ჩუმად მღერის ქარი,
როგორ ნაზად დასჩურჩულებს ხევებს,
მესმის, ვიცი, რას ბუტბუტებს მტკვარი,
სიო ჩუმად რას უამბობს ხეებს.

ვიცი და ვგრძნობ შვლების მძიმე
სევდას...
მათ თვალებში დაბუდებულ ნაღველს,
მესმის, ვუსმენ ჩიტთა გულის ფეთქვას,
გრძნობებს ნელა, ფართოდ ვუღებ
კარებს.
ვუცქერ, ვტკბები, მთვარის სხივი
მათოვს,
ვფიქრობ, ვმსჯელობ გულთან მხოლოდ
ერთი,
მთვარე მიყვარს, მზის სხივი კი
მათბობს —
ცის დედოფლის ჯადოსნური ხელი.

ხეთა ჩრდილით მოხატულა მიწა,
ბულბულის ხმა ნიავს ცაში მიაქვს,
მე ამ მიწას დავეკონო მინდა,
მე ამ მიწის ჩახუტება მინდა.

მთვარის შუქი დასციმციმებს ხევებს,
ჩრდილი ზოლად მიუყვება ქედებს,
თვალი ცრემლით დანამიათ თელებს—
მლოცველივით ცად იწვდიან ხელებს.

**მზია მალრაძე,**
ასპინძის რაიონის ოშორის
საშუალო სკოლის მოსწავლე.

## აბზაგუ და ასოები

1979 International Year of the Child

სკოლაში ახალშესული აბზაგუ ერთხანს ძალიან გულმავიწყი იყო — ასოების დამახსოვრება უჭირდა.

ერთხელ მასწავლებელმა დაფასთან გაიძახა და სთხოვა წინა დღეებში დასწავლილი ასოები დაეწერა. აბზაგუ დაფასთან მივიდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა ის ასოები და თავი უმწეოდ დახარა.

— აბზაგუ, — უთხრა მასწავლებელმა, — ვინ ზის შენს გვერდით?

— ლაშა.

— რა ჰქვია იმ ასოს, რომლითაც მისი სახელი იწყება?

— ლ.

— აი ეს არის ასო ლ, — მასწავლებელმა დაფაზე ასო დაწერა.

— ლ, — გაიმეორა აბზაგუმ.

— დაიმახსოვრებ?

— კი.

— აბზაგუ, რა ჰქვია მამაშენს? — კვლავ ჰკითხა მასწავლებელმა.

— მახაზი.

— რომელი ასოთი იწყება ეს სახელი?

— მ-თი.

მასწავლებელმა ახლა ასო მ დაწერა დაფაზე.

— ხომ დაიმახსოვრებ?

— დავიმახსოვრებ.

— მე რა მქვია?

— ნუცა დავიდოვნა.

— ჩემი სახელი რომელი ასოთი იწყება?

— ნ-თი.

მასწავლებელმა ეს ასოც დაწერა და აბზაგუმაც გაიმეორა.

მეორე დღეს მასწავლებელმა ისევ გაიძახა აბზაგუ, სამივე ასო დაუწერა დაფაზე და უთხრა სამივე დაესახელებინა.

— ამ ასოს ლაშა ჰქვია, ამას — მახაზი, ამას კი — ნუცა დავიდოვნა, — სხაპასხუპით უპასუხა აბზაგუმ.

მთელი კლასი იცინოდა.

**მარინა ტორჩუა,**
სოხუმის № 1 სკოლა-ინტერნატი,
VIII კლასი.



ზაფხული. ლუსია კისარი. მოლდავეთის სსრ.



## ჩაქუჩი

ჩაქუჩი ფოლადის,
ჩაქუჩი ღონიერი,
უსულო არ გახლავთ,
ის არის გონიერი,
ლურსმანს რომ აჭედებს
და სახლებს გვიშენებს, —
გვახარებს, გვალაღებს,
სიცოცხლეს გვიმშვენებს.
მე მუდამ ვიქნები
ჩაქუჩის მადლიერი,
არცა ვინ მეგულება
მისი მაგიერი.

დურდიმურატ გაიჯანოვი,
თურქმენეთის სსრ, ხალაჩის რაიონის მე-11 სკოლა.

## ჩემს სამშობლოში

ჩემს სამშობლოში გაზის და
არის ნავთობის საბადო,
მთებია ცამდე აწვდილი,
ველად ქურციკი ნავარდობს.

ჩემს სამშობლოში გაისმის
წარმტაცი მელოდიები,
აქ მუდამ გაზაფხულია,
ჰყვავის ვარდები, იები.

ველები პურით სავსეა,
გულებში შუქი ანთია.
ტკბილია ჩემი სამშობლო,
ვუმღერ მის ყოველ განთიადს.

მამედდურბან მამედდურბანოვი,
თურქმენეთის სსრ, ბახანდარის მე-14 საშუალო სკოლა.

გაზაფხული. ნარგიზა მხონჯია, სოხუმის მე-10 აფხაზური საშუალო სკოლა.

1979 International Year of the Child

## სხივი მაჩუქე, მზეო!

მარდი ფეხებით ნიავმა
წამოაქოჩრა მდელო.
ნაკადულები ბალღივით
ენას იტეხენ ქვაზე.
ზეცას ენუკვის გვირილა —
სხივი მაჩუქე, მზეო!
ნათლის სვეტს იდგამს სამშობლო
აბა ვით გავცვლი სხვაზე!..

პაატა წიკლაური,
თბილისის მე-16 საშუალო სკოლა,
VII კლასი.

## მიყვარს

მიყვარს, როდესაც ბინდბუნდი კრთება,
ამოდის მთვარე ვარსკვლავთ ამალით;
მიყვარს, როდესაც იღვიძებს ხალხი
და ორღობეში ყივის მამალი.

მიყვარს, როდესაც ზამთარი დგება
და ბუხრებიდან ამოდის ბოლი;
მიყვარს, როდესაც ცელქი ბალღები
ვერ ჩერდებიან ოთხ კედელს შორის.

მიყვარს, როდესაც ვაზის ფოთლებზე
თვლემს დილის ნამის კამკამა წვეთი;
მიყვარს, როდესაც გარჯა-შრომაში
წყდება სახალხო დოვლათის ბედი.

ო, რა თქმა უნდა, მიყვარს მეტადრე
ჩემი მშობელი, ძვირფასი დედა;
და მიყვარს, როცა დედასამშობლოს
მოცინარეს და ბედნიერს ვხედავ.

ფერიდე ბიწაძე,
ჭიათურის რაიონის ქვაციხის საშუალო
სკოლა, VIII კლასი.



მშობლიური სივრცეები. იური ლუკიანი, მოლდავეთის სსრ.

# დედაო ენავ!

ქართველი ხალხი...

ვინ მოთვლის, საუკუნეთა უსასრულოდ გრძელ გზებზე რამდენი საოცრება შეუქმნია, რამდენი ციხე, რამდენი ტაძარი უშენებია მის მადლიან მარჯვენას, რამდენი მუნჯი ქვა და ლოდი აუმეტყველებია... შენისთანა კი არაფერი შეუქმნია, დედაო ენავ!..

თვითონ მზე რაა შენთან? ის ხან გვინათებს, ხან არა, ხან გვათბობს, გვეალერსება, ხან ბოროტი ღამისა და სიცივის ანაბარა მიგვატოვებს ისე, რომ ერთხელაც არ ინებებს, შემოგვხედოს, გვითანაგრძნოს. შენ კი სულ სხვა ხარ, დედაო ენავ, შენ სულ ჩვენთან ხარ — გვემღერება თუ გვეტირება, სიცოცხლის ლამპარი ხარ, უქრობი შუქურა ხარ, დედაო ენავ!..

ხომ გახსოვს, როგორ გაწამებდნენ, გჯიჯგნიდნენ, ხან სპარსული და ხან არაბული, ხან მონგოლური და ხან ოსმალური მომხდურები, როგორ გიპირებდნენ შთანთქმას, მოსპობას, განადგურებას, მაგრამ ვერაფერი დაგაკლეს, მაინც არ განშორდი ქართველი კაცის ბაგეს. ამიტომაც გვიყვარხარ, ჩვენო უძლეველო, ქირის ოფლში და ხმლის ქნევაში გაკაჟებულო დედაო ენავ!

ხელთ აღმაშენებლის მახვილი გეპყრა, მკერდში ცოტნე დადიანის გული გედო და ისე იბრძოდი სიცოცხლისათვის, არსებობისათვის. დღეს არწივივით ფრთებგაშლილი, მშობელი ხალხის ბედნიერი ცხოვრებით გალაღებული მიფრინავ მაღლა, სულ მაღლა...

გიხაროდეს, დედაო ენავ! ამიერიდან ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს შენს ქროლვას! მაშ, შენც შენებურად, ომახიანად უმღერე ზურმუხტ გაზაფხულს, ცისფერ ოცნებას, ცაში ასროლილ ქუდებს უმღერე!..

ხომ ასე ანათებ — კიდევ უფრო ძლიერად ანათე, კაშკაშა სხივებს ნუ მოაკლებ შენს საუფლოს, იდღეგრძელე, იდიდე, იხარე და ჩვენც გვახარე — შენი წმიდათა წმიდა ხატების წინაშე მუხლმოდრეკილი მადლიერი ქართველობა...


ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენა ანაშჩენკო. 8 წლის. ბელორუსიის სსრ.

# შრიალებენ ჭადრები

ეს იყო დიდი ხნის წინათ. შენ მაშინ პატარა იყავი. ესენიც პატარები იყვნენ — ჯერ კიდევ ნორჩი ჭადრის ნერგები... შენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, გზის გასწვრივ ყველაზე კარგი ადგილი მიუჩინე მათ. ხშირად მიირბენდი ხოლმე, მიუალერსებდი შენს პატარებს, გულს გაუხარებდი... შემდეგ სკოლაც დაამთავრე. რამდენს ოცნებობდი მაშინ, როგორი იმედის თვალით შესცქეროდი მომავლის ლაჟვარდოვან ცას. მაშინ, ალბათ, ვერც კი წარმოგედგინა, რომ ამ ცას ნელ-ნელა შავი ღრუბელი უახლოვდებოდა, სიკვდილის ბოროტი ურჩხული ავი ღიმილით ჩუმად დასცინოდა შენს ოცნებებს.

ეს მოხდა ოცდათვრამეტი წლის წინათ. „ომი დაიწყო!“ — ამ ცნობამ ელვასავით დაურბინა მთელ ქვეყანას, დაურბინა და თავის ნაკვალევზე ცრემლი და ვაება დატოვა.

ნაღველი ჩაგეღვარა გულში, შენმა საყვარელმა ჭადრებმაც მოიწყინეს. გახსოვს, ის დღე, როცა უკანასკნელად მიუალერსე შენს პატარებს? როგორ გიჭირდა მათთან განშორება! დიდხანს იდექი აქ, ძალიან დიდხანს. მერე...

წასვლისას კიდევ ერთხელ მოიხედე უკან. შრიალებდნენ შენი პატარა ჭადრები, ნაღვლიანად გიქნევდნენ თავს, თითქოს გეთხოვებოდნენ. რა იცოდი მაშინ, თუ უკანასკნელად ხედავდი მათ!...

მას შემდეგ ოცდათვრამეტი წელი გავიდა. დაიზარდნენ შენი დარგული ჭადრები, ცას მიაბჯინეს კენწეროები, შენ კი...

ბოროტმა ურჩხულმა შთანთქა შენი ლამაზი სიცოცხლე, ულმობლად მოგისპო სიჭაბუკე... მაგრამ შენი მართალი სისხლი მილიონთა სისხლს შეუერთდა, მასთან ერთად აზვირთდა და მეშვიდე ცამდის აიტაცა შენი სამშობლოს სადიდებელი სიმღერა, მისი უკვდავების ჰიმნი!

ჰოდა, შენი სიცოცხლეც გრძელდება... გრძელდება წიგნებში, ობელისკებში, ადამიანთა გულებში... გრძელდება ამ ჭადრებშიც. შენზე ფიქრით თმადავერცხლილი დედა ხშირად მოდის აქ, მოდის და დიდხანს დგას, თვალცრემლიანი ეალერსება აშოლტილ ჭადრებს, შენი თითების სითბო ეგულება ზედ...

ისევ შრიალებენ შენი საყვარელი ჭადრები, შრიალებენ და ჩურჩულებენ სამშობლოს ერთგულებაზე, მარადიულ სიჭაბუკეზე... შენს ხსოვნაზე ჩურჩულებენ, შინმოუსვლელო ჭაბუკო!

თენგიზ წოწონავა.

წულუკიძის მე-2 საშუალო სკოლა.

X კლასი.



კირველი ნაბიჯები.
ანელი ვესტერ. V კლასი.
ესტონეთის სსრ.

# გვირილა

ზღაპარი

გაზაფხულის თბილი დილა იდგა. მაშა ბაღში შევიდა. ხელში პატარა ყვავილი ეჭირა. ეს იყო თეთრი გვირილა. იგი გოგონამ თავის ბაღს აჩუქა. სათუთად, ისე რომ ფოთლები არ დაზიანებოდა, გოგონამ გვირილა ბაღის კუთხეში ჩარგო, წყალი აპკურა, უმღერა ისეთი სიმღერა, რომელიც ღიმილით იწყება, და შინ გაემართა.

„გამარჯობა, მზეო-მზექალა!“ — წამოიძახა მეორე დილით გვირილამ ისე ხმამაღლა, რომ მისი ხმა პეპლებსა და ფუტკრებს მისწვდა. მათ მიულოცეს თავიანთ მწვანე მეგობარს ახალსახლობა.

დადგა მხიარული და საინტერესო ცხოვრების ხანა. დღეები სწრაფად გარბოდნენ. ერთხელ, თბილი, ჟუჟუნა წვიმის შემდეგ, მიწის ზედა ფენა ამოიბურცა, გაირღვა და ერთი შეხედვით სრულიად უმანკო ნაწიკარმა ამოწვერა. გვირილას გაუხარდა ახალი მეზობლის გაჩენა და დაუქნია ჯერაც ცვარშეუშრობი ფოთლები. მეზობელმა არაფერი უპასუხა და ეკლოვანი ფოთოლი ესროლა. „ეს ხომ ავი ნარშავია“, — შეეშინდა გვირილას.

დაუპატიჟებელი სტუმარი სწრაფად იზრდებოდა. ძალიან უზრდელი და უხეში ვინმე იყო. ისე მაღლა აზიდა ეკლოვანი ფოთლები, რომ გვირილას მზეც კი მოუჩრდილა.

„თუ შეიძლება გვერდზე მიიწიეთ“, — შეეხვეწა გვირილა.

პასუხად ნარშავამ მიუგო:

— ხვალ აქ ჩემი ერთგული მეგობარი ჭინჭარი ამოვა და ორივე ერთად ამ ბაღიდან გადაგაშენებთ...

მართლაც, მალე გვირილას ირგვლივ ჭინჭარი ამოიზარდა და სულ დასასუსხად მოიწევდა მისკენ. ბაღში ცხოვრება აუტანელი გახდა.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, არ ვიცი, სიბრაზის გამო გაუსკდა გული თუ მზემ ამოდუგა, ჩაჭკნა ჭინჭარი, გოროზი ნარშავი კი გოგონამ ამოთხარა ფესვებიანად.

გახარებული გვირილა გაიფურჩქნა, ისეთი ნაზი, თეთრი ყვავილები მოისხა, რომ მის შეხედვას არაფერი სჯობდა, მის შემხედვარეს ყველას სიმღერა და სიცილი უნდოდა.

მარგარიტა სიზენკო,
12 წლის, უკრაინის სსრ, ჩერნიგოვის ოლქი.

## ჩემი ოცნება

ამ ჩვენს კრიალა ზეცას
ამკობს მტრედების ფრენა,
სათაყვანებელ მიწას
შვენის ვარდების ფენა.

სულ კამკამებდეს ეს ცა,
ჰყვაოდეს ბარიც, მთებიც,
იყოს მშვიდობა მარად, —
აი, ოცნება ჩემი.

თემურ ბაკაშვილი,
თბილისის 143-ე საშუალო სკოლა, VI კლასი.

## მე ვუმღერი

მე ვუმღერი ცხრათვალა მზეს,
დილის ნამს და დილის სიოს.
მე ვუმღერი საქართველოს,
რიონს, მტკვარს და კავკასიონს.
მე ვუმღერი ჩემს ბავშვობას —
ლამაზს, კარგს და ხალისიანს.
მინდა, ომი არსად იყოს,
არ გავარდეს ერთი ტყვიაც.

ნანა ანთაძე,
ლანჩხუთის რაიონის ჯურყვეთის 8-წლიანი სკოლა, VII კლასი.

## გამოსავალი

პატრა მასკატი და პაპამისი ბაღჩაში იყვნენ. მასკატმა დაუკითხავად მოწყვიტა დიდი საზამთრო, გაჭრა და პაპას შესთავაზა.

— უჩემოდ რატომ მოწყვიტე, გეთქვა და მწიფეს აგირჩევდი, — უთხრა პაპამ.

— მაშ, მეორე საზამთრო მოვწყვიტოთ, ეს კი თავის ადგილზე დავდოთ, დამწიფდეს, — უპასუხა მასკატმა.

## როგორ მწიფდება საზამთრო

პატარა მასკატი ქალაქში ცხოვრობს, პაპამისი — სოფელში. პაპა კოლმეურნეობის მეველეა. ერთხელ, საზაფხულო არდადეგებზე მასკატი პაპას ეწვია. საზამთრო და ნესვი ჯერ არ მწიფდა. მასკატმა პაპასთან ერთად მიმოიარა ბაღჩა-ბაღები.

— ატა, რა იქნება ეგ საზამთრო რომ მოვწყვიტო? — შეეხვეწა იგი პაპას.

— შვილო, ეს საზამთრო ხომ ჯერ მწვანეა, როცა დამწიფდება, თვითონ მოგიწყვეტავ, — დაჰპირდა პაპა.

მასკატმა სწრაფად ამოიღო ჯიბიდან ასანთი და პაპას მიაწოდა.

— ასანთი რად მინდა? — გაუკვირდა მოხუცს.

— ბებია ხომ შუაცეცხლზე ამზადებს საჭმელს, ჰოდა, დავანთოთ ცეცხლი და მოვხარშოთ საზამთრო.

პაპას გაეცინა.

## თევზები

ერთხელ კოლმეურნეობის ბოსტანს რწყავდნენ. მორწყვის შემდეგ დარჩენილ გუბეებში ლიფსიტები დასრიალებდნენ. მასკატმა დაინახა ისინი და პაპას ეცა:

— ატა, ატა, საზამთროს თესვისას თევზებიც დაგითესიათ!

— რას ამბობ, ბიჭო! — გაეცინა პაპას.

— აბა რატომ დაცურავენ გუბურებში თევზები?

ანა ანაევა,
ყაზახეთის სსრ, ჰასან ყულის რაიონი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაზაფხული

გადმოუფრინეს მერცხლებმა
ვრცელ ველებს,
ზღვებსა და მთებს
და ღამესავით შავი ფრთებით
მწვანე გაზაფხული მოგვართვეს.

ბუნაგიდან გამობობღდა
დათვის ბელი,
რა ხანია მოეშვა
ლოკვას თათის,
დადის და ტკბება
ყვავილთა სურნელებით,
ახ, რარიგ მოუნდა ახალი თაფლი!

რიმა ჟედია,
გუდაუთის რაიონის ლიხნის
საშუალო სკოლა.

## მელა

ისე როგორ ვიწანწალო,
საქათმეს არ გავეკარო,
არ ვიგემო ქათმის ხორცი
და მაინც ვთქვა, მელა ვარო.

დარდისაგან სული მიწუხს,
როცა ვისმენ მამლის ყივილს.
გავიგონებ დედლის კაკანს
და... საბრალოდ გული კივის.

საკუთარი ჩრდილი მაკრთობს,
ვემალები ადამიანს,
თავს ვარიდებ ყველა ქოფაკს,
მათმა ყეფამ გადამრია.

ვენია ადლეიბა,
ოჩამჩირის რაიონის ჯგერდის
საშუალო სკოლა.




გამგზავრება ბამზე.

ზაზა სუქიაშვილი,
14 წლის.



მესაზღვრეები.
ანელი ტალგე, IV კლასი.
ესტონეთის სსრ.

## ზაფხული

მზე — მხიარული ამოსხლტა
ჰორიზონტიდან ანაზდად
და მშვენიერი ქვეყანაც
უფრორე გაგვილამაზდა.

საიაგულ მუხსინოვა,
ყაზახეთის სსრ. ჯამბულის ოლქი.

## წვიმა

მზემ რომ პირი დაიბანა,
იწკრიალა წვიმამ ველად,
უცებ ბუჩქში შეიმალა
პეპელა და ჭიანჭველა.

ბერიკ ტერისკენზაევი,
ყაზახეთის სსრ. ჯამბულის ოლქი.

## გაზაფხული

გაზაფხულდა, ბალახით
გადამწვანდა ველი...
მოუთმენლად — მეგობრებს —
ჩემს ჩიტუნებს ველი.

ნურლაკ ელიუბაევი,
ყაზახეთის სსრ, ჯამბულის ოლქი.

# კაკლის წყარო

იყო ერთი წყარო. არც მეგობრები ჰყავდა, არც ნათესავები. ცხოვრობდა ასე მარტოდ მარტო, რადგან ჯერ კიდევ მიწაში იმყოფებოდა.

მოსწყინდა წყაროს უმეგობროდ ყოფნა. აწრიალდა, აქეთ-იქით მიაწყდა, ეგებ მეშველოსო, მაგრამ ძლიერ ფესვებს ჰყავდათ შებოჭილი და გასაქანს არ აძლევდნენ.

რაღა უნდა ექნა. ადგა და შეეხვეწა ფესვებს:

— მაღლა მინდა ავიდე, ველარ ვუძლებ მარტოობას. გევედრებით, ნუ შემბორკავთ.

— კეთილი, — უთხრეს ფესვებმა, მიუშვეს და წყარომაც გზა გაიკაფა.

— მადლობა, დიდი მადლობა! — აბუტბუტდა მიწის ზედაპირზე ამოსული, სიხარულისაგან გაბრუებული წყარო.

პირველად მან ტოტებგაბარჯღული ხე დაინახა. კაკლის ხე გახლდათ და ის კეთილი ფესვებიც მისი იყო.

— გმადლობ, ხეო! — წაიდუდუნა წყარომ.

მიწიდან ამოვიდა თუ არა, მაშინვე ბევრი მეგობარი გაუჩნდა: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ყვავილები, ბალახი, კენჭები, რომლებზეც მისი შხეფები ცეკვით ერთობოდნენ.

იქ, სადაც წყარომ თვალი გაახილა, სოფელი იყო გაშენებული, ოღონდ უსახელო.

ერთმა სოფლელმა დაინახა, როგორ ამოჩქეფა წყარომ კაკლის ძირას და ეს ამბავი ყველას ამცნო.

მას შემდეგ, იმ სოფელს კაკლის წყარო დაერქვა.

მაშინ გაჩნდა ანდაზაც: „უმეგობროდ წყაროც კი დაშრებაო“.

ალიოშა ლამია,

სოხუმის ნ. ლაკობას სახელობის მე-10 საშუალო სკოლა, VI კლასი.



დილა. შჩერენ ნოგათოვა. თურქმენეთის სსრ.

# დამილოცეთ შორი გზები!

(ჩემს მასწავლებლებს)

თქვენს მშობლიურ, სათნო სახეს
ვუმზერ კრძალვით, მორიდებით.
თქვენი მართვე მივფრინავ და...
დამილოცეთ შორი გზები!

ეს ფრენა ხომ თქვენ მასწავლეთ,
გამიწაფეთ თოთო ფრთები.
ვერ შემაკრთობს ღელვა ზღვათა,
ცამდე აღმართული მთები.

თუნდაც ატყდეს ქარაშოტი,
გამთოშავი გულის, ძვლების, —
თქვენი სითბო თან მახლდება,
ამიტომაც არ დავზრები.

ერთ წუთსაც არ შევისვენებ,
სიძნელის წინ არ შევდრკები,
სულ ვიშრომებ ქართველურად,
არასოდეს დავმშვიდდები.

თქვენს სიყვარულს წავიმძღვარებ
საწინდარად გამარჯვების.
სადაცაა გავფრინდები...
დამილოცეთ შორი გზები!

მარეხ ძმანაშვილი,

თბილისის 103-ე საშუალო სკოლა, X კლასი.

# ბელურა

შეწყდა წვიმა. ღრუბლებში
მზის გამოჩნდა ბორბალი.
უცებ სახურავიდან
რაღაც რუხი, პატარა
ჩამოვარდა გორგალი.
ჯერ ღობეზე დაეცა,
ღობიდან კი — მიწაზე,
„ნეტავ რაა?“ — ვიფიქრე,
გავიხედე სარკმლიდან
და ვიცანი იმწამსვე.

თითქოს — მე ვარ, რაც ვარო, —
უშიშარად, მეფურად
მისეირნობს ქუჩაში
მდგმური ჩვენი სხვენისა —
პაწაწინა ბელურა.

ნატალია გოგკა,

ბელორუსიის სსრ, კლეცკის რაიონის სოფელი ლუჩიცა.




✱ ბ ა ი ა ნ ს უ ლ უ — ხალხური ეპოსის გმირი.
რაუშან ხასანოვა.
ყაზახეთის სსრ, ჯეზლაზგანის ოლქი.

## მზე დამიხატე

მზე დამიხატე, ძამიკო,
მე ხომ დიდი მზე მინდოდა,
მზე დამიხატე, ძამიკო,
ომი კი არა — მშვიდობა!

ცეცხლმოდებული დღეები
და ომის უბედურება
რად მინდა! აბა, შეხედე,
როგორ ზეიმობს ბუნება.

აყვავებულა მინდორი,
ზეცა ანთია მტრედისფრად,
ბედნიერება დაგხარის
თავს უხილავი ფრთებითა.

შენ გაიზრდები ამაყი,
ხალისიანი, ჯანმრთელი,
ომს ნურასოდეს დახატავ
შენი ფერადი ფანქრებით.

მზე დამიხატე, ძამიკო,
მე ხომ დიდი მზე მინდოდა!..
ომს რატომ ხატავ, გენაცვა,
მოდი, დახატე მშვიდობა!

ინა მაქსიმოვა,
12 წლის. ქ. ვორონეჟი.

## მოსწავლენი ვართ სკოლის!

სკოლა-ინტერნატში მეორე კლასიდან ვსწავლობ. ჩვენ ყველას ეს სკოლა მეორე ოჯახად მიგვაჩნია.

ია ალექსის ასულ დენისოვას, ჩვენი კლასის აღმზრდელ-მასწავლებელს კი შეიძლება დედაც დავუძახოთ. დიდად მზრუნველი, გულითადი ქალია! ყველაფერს გვიგებს, ყველაფერზე შეგვიძლია ვესაუბროთ.

საერთოდ ინტერნატში არასოდეს არ გვწყინდება. დიდებული შეფი გვყავს — კომის ასსრ-ის მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი. შეფები ხშირად გვაკითხავენ სკოლაში, ჩვენც მივდივართ მათთან.

ინტერნატში ათასგვარი წრე გვაქვს. ვისაც რა გაუხარდება! ბიჭები, მაგალითად, ავტოსაქმით არიან გატაცებულნი და მეშვიდე კლასის დამთავრების შემდეგ ავტომობილის ან ტრაქტორის მძღოლის მოწმობას მიიღებენ. ავტოსაქმეს ხელმძღვანელობს ვალერი სერგეის ძე ოსიპოვი. იგი ოცდაორი წლისაა, მაგრამ ისე თავისუფლად ვგრძნობთ მასთან თავს, რომ ხანდახან თანატოლიც კი გვგონია. ჩვენს ქალაქში ყოველწლიურად ტარდება გამოფენა „ადამიანი და ბუნება“. ამ გამოფენაში მთელი ქალაქი მონაწილეობს, მაგრამ ჩვენი ინტერნატი მუდამ პირველ ადგილს იკავებს.

აკადემიის ფილიალის დავალებით ყვავილებზე ვატარებთ ცდებს. ჩვენ, ჩრდილოელებს, განსაკუთრებით გვიყვარს და გვჭირდება ყვავილები!

მაშა პროკუშევა,
ქ. სიკტივკარი, კომი ასსრ

ცხოვრება განა ქაღალდია —
წერდე ზედ და მერე შლიდე,
წასაშლელს ნურაფერს დაწერ,
ამ ქვეყნად იცოცხლებ ვიდრე.
ცხოვრება დიდი სიკეთეა,
სიკეთეს არ აქვს ნაწერი შავად.
იშრომე,
იღვაწე,
სპეტაკად, ალალად
და ისე განვლე საწუთროს შარა!

მარინა არგუნი,
ქ. გუდაუთის აფხაზური
საშუალო სკოლა.

## წ ი გ ნ ი

თუკი წიგნი გაქვს, არა ხარ მარტო,
და მოწყენასაც შენთან რა უნდა,
ის გიმეგობრებს ერთგულად, გწამდეს,
და სიხარულით შეგხვდება მუდამ.

ალტინკულ უსუგალიევა,
ყაზახეთის სსრ, ჯამბულის ოლქი



✱ ოქტომბრელები. ნატო ჩაჩუა. ბათუმის მე-14 საშუალო სკოლა, IV კლასი.

## ტყვია და... სათამაშო?

წამლით და ტყვიით სავსე
მასრა იპოვნა კატამ,
ხან შეისროლა ზემოთ,
ხან — იქვე კედელს არტყა;
ცეცხლში შეაგდო... ბათქმა
კატა ძირს დასცა წამსვე.
საცოდავია, ტყვიით
ვინც ითამაშებს ასე.

მარჟან ჟაიშიევა,
ყაზახეთის სსრ, ჯამბულის ოლქი.

## კარგი სახელი

აიგერიმი მეორე კლასში სწავლობდა. ერთხელ, მოულოდნელად ავად გახდა და საავადმყოფოში წაიყვანეს. პალატაში მეზობელმა ჰკითხა:

— გოგონა, რა გქვია?

— აიგერიმი.

როცა ისიც უთხრა, რომ მის მეათეკლასელ დას სალთანათი ერქვა, ხოლო უმცროსს — თოგჟანი, მეზობელი გაოცდა.

— რა მშვენიერი სახელები გრქმევიათ. ეტყობა, მამათქვენი ნაკითხი კაცია და შვილებს იმიტომ დაგარქვათ წიგნის გმირების სახელები.

როცა აიგერიმი საავადმყოფოდან გამოწერეს, მამას ჰკითხა:

— მამა, ვინ იყვნენ აიგერიმი, სალთანათი და თოგჟანი?

მამამ აუხსნა: ესენი მუხთარ აუეზოვის რომანის „აბაის ცხოვრების“ გმირები არიან, აბაი კუნანბაევი კი დიდი ყაზახი პოეტი იყოო.

— კიდევ რომ გაჩნდეს გოგო, რას დავარქმევთ? — ეკითხება აიგერიმი.

— კარგ, ლამაზ სახელებს რა გამოლევს, მაგალითად, კარიმბალა, კალბეტი, შუგა, აჟარი... ისე კი, ადამიანი უნდა ამშვენებდეს სახელს და არა სახელი ადამიანს.

დულატ არისთანბეკოვი,
ყაზახეთის სსრ, ყარაგანდის ოლქი.

## პეპელა

პეპელავ, საით მიფრინავ?
ფრთაჭრელო, გშვენის ფრენა.
მჯერა, ფეხმარდი ბიჭიც კი
ვერ დაგეწევა, ვერა.

კარაშაშ ტოქსანბაევა,
ყაზახეთის სსრ, ჯამბულის ოლქი

## ქარიშხლის წინ

გაავდრებამდე
წუთიღა დარჩა,
წუთიღა დარჩა
გაავდრებამდე...
ამის იმედი
რომ არ მქონოდა,
შენზე ლოცვასაც
ვერ გავბედავდი.
როგორ მომწყურდა —
ლაგამმიშვებულ
თეთრ ბედაურებს.
მინდვრად ვხედავდე...
ნუ შეშინდებით:
წუთიღა დარჩა,
წუთიღა დარჩა
დაქუხებამდე.

## თავისუფლება

გამოანგრია
ცხრაკლიტული —
ოქროს გალია,
გადამწვარ ბუჩქთან
შეჩერდა და...
სული დალია.

ელისო კალანდარიშვილი,
თბილისის 149-ე საშუალო სკოლა,
IX კლასი.



მწვერვალისაკენ.
მალიკა უსკარმბაევი.
VI კლასი. ყაზახეთის სსრ. ქ. ალმა-ატა.

## გმირთა მიწაზე

ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენს რაიონში, სოფელ პიატრაში დაიბადა ლეგენდარული სერგეი ლაზო. ბევრჯერ ვყოფილვართ მის სოფელში, იქ მუზეუმი დავათვალიერეთ, მეზობელი სოფლები მოვიარეთ.

ჩვენს რაიონს ჰყავს კიდევ ერთი გამოჩენილი გმირი ბორის გლავანი. მისი სკოლაც ვინახულეთ, რამდენიმე წუთს მდუმარენი დავცქეროდით გმირის მერხს. დიდად აგვაღელვა გლავანის ფრონტიდან გამოგზავნილმა ბარათებმა, რომლებიც აქ არის გამოფენილი.

ჩვენ, პიონერებმა, ფიცი დავდეთ, რომ სამშობლოს ისევე თავდადებით ვემსახურებით, როგორც ლაზო და გლავანი.

პრასკოვია პოპუშოი,
მოლდავეთის სსრ, ლაზოს რაიონის,
სოფელ ციპლეშტის საშუალო სკოლა.

## მერციშორი

მერციშორი — ძაფებისაგან გაკეთებული თეთრი და წითელი ყვავილებია, რომლებსაც გაზაფხულის დამდეგს — 1 მარტს, ძველი ტრადიციისამებრ, მოლდაველები მკერდზე ატარებენ, სანამ ხეები არ აყვავდებიან. შემდეგ ხეზე, ყვავილებში შეაგდებენ. ამბობენ, ამას ბედნიერება მოაქვსო.

უნაზესი მერციშორი,
დამაქვს მკერდით, დამაქვს გულით —
და ყოველთვის მინდა იყოს
ჩემს მხარეში გაზაფხული.

ტატიანა პორჩესკო,
მოლდავეთის სსრ, ორგეევსკის
რაიონის სოფ. კუკურუზენი, VIII კლასი.

## ბამი

ჩვენი ვრცელი ქვეყანა
დღეცისმარე მშვენდება.
ბაიკალით ამურამდე
მაგისტრალი შენდება.
აყვავდება ტაიგაში
ქალაქები, დაბები.
როცა დიდი გავიზრდები,
მეც ბამელი გავხდები.

გალინა ლაზარი,
ბელორუსიის სსრ, ვილეისკის
რაიონის დოლგინოვის საშუალო
სკოლა. IV კლასი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური იუმორი

პატარა ოტო პირველად იყო ოპერაში. სპექტაკლის შემდეგ იგი ყვებოდა:

— იქ ძალიან ლამაზი და კარგი იყო, მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, სცენის წინ მსხდომ მაყურებლებს რატომ დართეს ნება მუსიკალური ინსტრუმენტებით მოსულიყვნენ თეატრში?

●

მასწავლებელმა ერთ-ერთი მოსწავლე ამოიკითხა:

— პეტერ!

სიჩუმეა.

— პეტერ!

ბოლო მერხიდან წყნარი პასუხი გაისმა:

— ბატონო მასწავლებელო, პეტერმა დაიძინა და გვთხოვა, არ გამაღვიძოთო.

●

ოთხი წლის ევა დაბადების დღეს ულოცავდა დეიდას:

— გისურვებ ჯანმრთელობას, ყოველივე საუკეთესოს, ბედნიერებასა და ფულს... რომ შემდეგ ველოსიპედი მიყიდო.

●

— ჩემი ვაჟი ყველაზე ბეჯითი მოსწავლეა მთელ სკოლაში, — თქვა დეიდა მარტამ.

— შეუძლებელია! ეს მხოლოდ თქვენი შეხედულებაა?

— არა, ჩემმა ვაჟმაც ასე მითხრა.

●

ერთმა ბუზმა უთხრა მეორეს:

— რატომ კანკალებ ასე? ნურაფრისა გეშინია, ეს ხომ ჩვენი მეგობარი ვეფხვია, ის ნადირობიდან ბრუნდება.

— აჰ, მე კი მომეჩვენა, რომ ის კალია იყო.

●

— ვინ თევზაობს, ბიჭო, ასე! — უთხრა კაცმა პატარა პეტერს, რომელსაც ანკესზე ჭიის ნაცვლად ვაშლი ჰქონდა წამოცმული, — ჭიებით უნდა ითევზაო!

— აბა მე რაღას ვაკეთებ, ვაშლის გულშიც ხომ არიან ჭიები, — უპასუხა პეტერმა.

●

— როგორ აჩენენ ცეცხლს? — შეეკითხა მასწავლებელი კარვებში დაბანაკებულ მოსწავლეთაგან ერთ-ერთს.

— ცეცხლი შეიძლება გავაჩინოთ შეშის ორი ხმელი ნაჭრისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი ასანთი იქნება, — სწრაფად უპასუხა მოსწავლემ.

●

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანამ საავადმყოფოში მიიყვანა არაჩვეულებრივად ჭუჭყიანი ბიჭი. ოპერაციის წინ სანიტარმა იგი აბაზანაში შეიყვანა. როდესაც აბაზანიდან გამოვიდა, პატარა პაციენტმა თავისუფლად ამოისუნთქა და თქვა:

— აბა რას ვიფიქრებდი, თუ ოპერაცია ასე უმტკივნეულოდ ჩაივლიდა.

გერმანულიდან თარგმნა
ბესიკ ლამბაშიძემ,
თბილისის 114-ე საშუალო სკოლა,
X კლასი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატურმორტი.
ოთარ ჩხარტიშვილი, 13 წლის,
მახარაძის 1-ლი საშუალო სკოლა.

## წყარო

ცადატყორცნილი მთიდან.
სად ერთი ხეც არ ხარობს,
ჩამოწანწკარებს ცივი,
ხმამოწკრიალე წყარო.
ამბობენ, სადაც იშვა —
ა იქ,
ნისლების ზემოთ —
მას სხვა იერი დაჰკრავს,
სხვანაირი აქვს გემო.
და მესიზმრება ხოლმე, —
მიხმობს, მეძახის თვისკენ:
— გუნდა,
ამოდი ჩემთან,
ბილიკს ამოჰყევ ცისკენ.
აქ დამაკარე ბაგე,
შემსვი ორივე პეშვით,
თუ გინდა გაგყვეს მარად
ჩემი გემო და ეშხი.

გუნდა კუცია,
ოჩამჩირის რაიონის ათარის
საშუალო სკოლა.

## დედა დაეხმარა

— რა მოხდა გუშინ, ვიტია,
გიცქერდი გაოცებული:
სულ ტრიალებდი მთელი დღე,
მკლავებდაკაპიწებული.
შეშა დაჩეხე, იატაკს
რეცხავდი აპრიალებდი,
მზარეულადაც ივარგე,
კერძებს თავს დასტრიალებდი
დღეს კი,
ისე, ვით აქამდე,
კვლავ სიზარმაცემ შეგიპყრო.
— დედა, — მიუგო ვიტიამ, —
გუშინ ხომ ქალთა დღე იყო.

გორია ეფიმოვი,
ქ. სევეროდონსკი
11 წლის.

## ნეტა ვიცოდე

ამდენი ფუნჯი და საღებავი —
ნაირ-ნაირი, ოჰ, ვის ჰქონია!
ნეტა ვინ ხატავს ამ მზეს, ამ მიწას,
ვინ ახმოვანებს მათ სიმფონიად?!
ტყის სურნელება დამათრობელი,
ფოთლების ტაში, ყვავილთა მზერა,
ენაკვიმატი ჩხიკვის ქირქილი,
ჭალაში ნაზი ბულბულის სტვენა,
ვარდების წითლად გამონათება,
კვირტების სკდომა, ბალახის თრთოლვა,
ფერები ფერებს შეზავებული,
გრილი ნიავის დღედაღამ ქროლა,
უბრალო ღვია, ნედლი იელი,
წყაროს დუდუნი, გუგულის „გუ-გუ",
გამხდარი ჩიტის ჩუმი წივწივი, —
აღაფრთოვანებს ჩვენს სულსა და გულს.
...ამდენი სითბო დაულეველი,
ნეტა ვიცოდე, სხვას ვის ჰქონია,
ვინ ხატავს ასე ამ მზეს,
ამ მიწას,
ვინ ახმოვანებს მათ სიმფონიად?!

გია ჯოხაძე,
თბილისის 117-ე საშუალო სკოლა,
VII კლასი.

# ეჰ, ეს მოდა!

მოდის ზოგიერთ სახეობას თავისი ისტორია აქვს. შუა საუკუნეების ესპანეთში მამაკაცები მუცელთან გამობერილ ტანსაცმელს ატარებდნენ. პირველად ამის შემხედვარე ადამიანები სიცილით იგუდებოდნენ, მაგრამ შემდეგ ეს მოდა მთელ ევროპას მოედო. მე-12 საუკუნეში პარიზში ცხოვრობდა ერთი ხელოსანი, რომელსაც ფეხზე ბებერა ჰქონდა. მან გადაწყვიტა შეეკერა ისეთი ფეხსაცმელი, რომელშიც ფეხი არ ეტკინებოდა და თავისუფლად ექნებოდა. ეს მოდა მთელ საფრანგეთს მოედო. შემდეგში ისეთ გრძელ ფეხსაცმელს იცვამდნენ, რომ სიარული ძნელდებოდა. ამიტომ ფეხსაცმლის წვერებს თოკით იმაგრებდნენ მუხლებზე.

შუა საუკუნეებში ტანსაცმელზე პატარ-პატარა ზარებს იკეთებდნენ. სიარულის დროს შორიდანვე ისმოდა ამ ზარების ხმა.

როკოკოს სტილის ბატონობის დროს გავრცელდა მოდის ახალი სახეობა: ქალები ისეთ თმავარცხნილობას იკეთებდნენ, რომ ორ მეტრ სიმაღლეს აღწევდნენ. თმებში მათ დამაგრებული ჰქონდათ პატარ-პატარა გემები, ნავები და სხვადასხვა საგნები, ზოგჯერ ჩიტებით სავსე გალიებიც კი.

ცილინდრი ერთი ლონდონელი ვაჭრის გამოგონილია. როდესაც იგი ამ ქუდით გაივლიდა, იმდენი ხალხი გროვდებოდა, რომ ჯარიმის გადახდა უხდებოდა. შემდეგ კი ეს მოდა მთელ მსოფლიოს მოედო. პარიზში 80 სანტიმეტრის სიმაღლის ცილინდრები ეხურათ.

დღეს ბევრად განსხვავებულად ვიცვამთ, ვიდრე ძველ დროში, მაგრამ მოდების ნაკლებობას ახლაც ვერ დავიმდურებით.

გერმანულიდან თარგმნა
ლევან ურუშაძემ,
თბილისის მე-18 საშუალო სკოლა, VIII კლასი.

## ნიკუ და ყვავილები

ზაფხულის ერთ დღეს გადავწყვიტეთ ტყეში, ექსკურსიაზე წასვლა. იქ ჯგუფებად დავიყავით და მოვილაპარაკეთ, საღამოს, ერთ დიდ მუხის ძირას მოგვეყარა თავი.

საღამოთი, როცა მოვექუჩდით, ყოველ ჩვენგანს ხელში ყვავილების უშველებელი თაიგული ეჭირა. ნიკუ არსად ჩანდა. ბოლოს, როგორც იქნა, ისიც შემოგვიერთდა. ხელში ერთი, ერთადერთი ყვავილი ეჭირა. გაგვიკვირდა.

— რატომ დიდი თაიგული არ შეჰკარი?

— უჰ, ისეთი ყვავილები ვნახე, თვალი ვეღარ მოვწყვიტე. ვუყურე, ვუყურე და მოწყვეტა დამენანა — სხვა ვეღარ ნახავდა ამ სიმშვენიერეს. ეგ თქვენი თაიგულები შინ მისვლამდე მაინც დაჭკნება, ტყეში კი დიდხანს იხარებს...

თავჩაქინდრული დავყურებდით ჩვენს ყვავილებს.

მარჩიკა ენაკუ,
მოლდავეთის სსრ, რიშკანის რაიონი,
სოფელი კუკურეცი.

## ჩემო მხარევ, მოლდავეთო!

მიწიერი ვარსკვლავი ხარ —
ჩემო მხარევ, მოლდავეთო!
ბაღ-ვენახო სხივმოსილო,
მინდა მუდამ ასე ენთო.

გაგიმრავლდა მხნელ-მთესველი,
აგიმაღლდა სვე და ბედი.
რად მიყვარხარ? იმიტომ, რომ
შენა მყავხარ ერთადერთი.

კამელია ბალანი,
მოლდავეთის სსრ, კარტემიროვსკის
რაიონის სოფელი კირპეშტი.

## ახალი სახლი

გადავედით... ყველაფერი
რა სუფთა და რა ნაზია.
ახალ სახლში დედიკოც კი
ასჯერ უფრო ლამაზია!

ტატიანა როგოჟუ,
VI კლასი, მოლდავეთის სსრ, კოტოვსკის
რაიონის სოფ. სარატა-გალბენა.

## ალამი

ალამს ზევით ვეწევი,
მეც ვმაღლდები ამითა.
ჩვენი ქვეყნის ალამს კი
მზეზე მაღლა ავიტან.

ოტოლია დელიუ,
ქ. კიშინიოვი, 1-ლი მოლდავური სკოლა.

## ციყვი

—ციყვო, ციყვო — თათია,
რას აკეთებ, ნათლია?
— თხილს და კაკალს ვაგორებ,
ზამთრისათვის ვაგროვებ.
ჭირვეული ზამთარი
დაგვიდგება ნამდვილად.
შვილი საჭმლის გარეშე
განა სადმე გაზრდილა?

გალინა პლეშკა,
V კლასი, მოლდავეთის სსრ, დაბა სტრაშენი.



* უფროსების მხარდამხარ.
მაია ხარაზაული. ახმეტის
1-ლი საშუალო სკოლა, VII კლასი.



ციყვები. ნუგზარ ღარიბაშვილი. ვაზისუბნის საშუალო სკოლა, I კლასი

## გაუმარჯოს!

ამ სითეთრეს, ამ სიწმინდეს
ფიფქების ვუნდს ფრთამალს,
იმ ჭაღარა მწვერვალებს და
ამ ქათქათა ტრამალს,
ნისლთან, ზეცის მოციქულთან,
მობაასე ხევებს,
თეთრნაბადა გორაკებს და
თეთრჩოხიან ხეებს,
საახალწლო თეთრ ქუდებით
თავმომწონე სახლებს,
ვერცხლის ხილით გადახუნძლულ
თავდათოვლილ ბაღებს,
ამ თეთრწვერა ზამთარსა და
გაზაფხულის ლოდინს
აწ, და მარად, აწ და მარად
გაუმარჯოს მოდი!

მარინა კუპატაძე,
ჭიათურის რაიონის სოფელ
ღვითორის საშუალო
სკოლა.

## ჩვეულება

მარატი ოდნავადაც რომ გააბრაზო, იმ წუთსავე დაგემუქრება: „დედას ვეტყვიო“, და შინისაკენ მოკურცხლავს.

ერთხელ მეზობლის ეზოდან ლეკვი გამოვარდა. ძაღლი მხიარული ყეფით მიეტანა განაპირას მდგომ მარატს.

„დედას ვეტყვი!“ — აყვირდა მარატი და შინისაკენ გაიქცა.

ერლან ტაუენოვი,
ყაზახეთის სსრ, ყიზილ-ორდის რაიონი;

## აიგულის სიზმარი

დილაადრიან აიგული დედას სიზმარს უყვებოდა: წუხელ სიზმარში რაშზე ვიჯექი და მივქროდიო. უმცროსმა ძმამ, ტანატმა საბანი გადაიძრო და წამოიყვირა:

— უყურე შენ! ალბათ ის ცხენი იყო, ღამე ფეხზე რომ დამაბიჯა!

კატირა ჟომარატოვა,
ყაზახეთის სსრ, ჩიმკენტის ოლქი.

## ვინა ვარ?

მე ერთი მფრინავი
ფიფქი ვარ პატარა.
ცამ მშობა და ქარმა
აქამდე მატარა.
რა ბევრი ვიფრინე,
სად ვიყავ, სად არა!
რამდენი ფიფქია
ჩემსავით პატარა.
ჩვენ ერთად დავფრინავთ,
ფანტელად —სხვად არა.
მე მოუსვენარი
ფიფქი ვარ პატარა.
რამდენი ვიფრინე,
სად ვიყავ, სად არა!

თამრიკო შალვაშვილი,
სიღნაღის რაიონის 1-ლი საშუალო
სკოლა, IX კლასი.

## ჩემო სკოლავ!

მუდამ შენსკენ მოვიჩქარი,
ჩემო სკოლავ, უტკბილესო,
გულს გვიხარებს შენი ზარი,
ყვავილებით სავსე ეზო.
ვერ ისვენებ ერთი წუთით,
ხარ მკაცრიც და ხარ კეთილიც,
გაგაღიმებს სხაპასხუპით
მოყოლილი გაკვეთილი.
გამარჯვების გზებით გევლოს,
ხშირად წერდე ხუთიანებს
და მშობლიურ საქართველოს
ბევრი გმირი უფრთიანე.

მაია კალანდია,
ზუგდიდის რაიონის დარჩელის
საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ნატურმორტი.
გოჩა პაპიაშვილი
თბილისის მე-8 საშ. სკოლა



ელექტრონული ბიბლიოთეკა



# სცენაზე «სხივი»

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო-
რეპორტაჟი
ანზორ
გოგოლაძისა



უსინათლოთა საზოგადოების რესპუბლიკური კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „სხივი" მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონებით სარგებლობს. შარშან იგი ბავშვთა ქორეოგრაფიული კოლექტივების რესპუბლიკური დათვალიერების ლაურეატი გახდა. „სხივი" წარმატებით გამოდის ხოლმე მოსკოვში, ლენინგრადში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

სურათებზე: ცეკვავს ანსამბლი „სხივი"







# ვამრავლოთ ყვავილები

ყვავილი — სილამაზის, სიყვარულის, მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლოა. ამიტომ არის, რომ იგი დიდსა თუ პატარას ერთნაირად უყვარს.

ყვავილი ბუნების ღიმილია, ჩვენი სიცოცხლის განუყრელი თანამგზავრი, სისუფთავისა და ჯანმრთელობის უშრეტი წყაროა. ყვავილების მოვლა აფაქიზებს ადამიანის სულიერ სამყაროს, უვითარებს ადამიანს გემოვნებას, აჩვევს დამოუკიდებელ შრომას.

ახლა გაგაცნობთ ორი საოთახო ყვავილის მოვლისა და გამრავლების წესს.

**ეპიფილიუმი** ფართოდ გავრცელებული საოთახო მცენარეა. მისი სამშობლოა ამერიკის ტყეები. ადრე მას შეცდომით ფილოკაქტუსს ეძახდნენ. ეპიფილიუმის ღერო ბაცი მწვანე ფერისაა, ანდა დაკუთხული და მოგრძო-წვრილეკლიანი — სქელი ფოთლის მაგვარი, ხშირად ძირს დახრილი. ყვავილი მსხვილია, მრავალნაირი შეფერილობისა (წითელი, ვარდისფერი, თეთრი და მათ შორის გარდამავალი ფერი).

კარგად მრავლდება თესლით და ვეგეტაციურად — კალმითაც და პერესკიაზე ან ცერეუსზე მყნობითაც. მოითხოვს ფხვიერ მიწას; მდინარის სილა-ქვიშის, დაფხვნილი აგურის და ხის ნახშირის ნარევს. ზამთარში თვეში 2-3 ჯერ უნდა მოირწყოს, ზაფხულში — საჭიროებისამებრ.

**გლოქსინია** — ამ ყვავილის სამშობლოა ტროპიკული ამერიკა. გლოქსინიას ნაზი, ხავერდოვანი, 20-24 სანტიმეტრი სიგანის ფოთლები და დაახლოებით 10 სანტიმეტრი დიამეტრის მქონე ზარისმაგვარი მრავალი ფერის ყვავილები აქვს; ყვავილობს ზაფხულში; ერთი მცენარე ივითარებს 50-ზე მეტ სხვადასხვა ფერის ყვავილს — თეთრს, იისფერს, წითელს, ნარინჯისფერს და სხვა.





მრავლდება გორგლის დაყოფით, ფოთლით, თესლით. ითესება ნოემბრიდან აპრილამდე, ორ კვირაში ამოდის და მეხუთე-მეექვსე თვეზე ყვავილობს. მწვანე ფოთლები ტენიან სილაში ყუნწით უნდა ჩაირგას, ზემოდან ქილა დაეხუროს. მცენარე ერთ თვეში დაფესვიანდება, შემდეგ საჭიროა ქოთანში გადარგვა. გლოქსინია კარგად ხარობს ნეშომპალის, სილისა და ყამირი მიწის ნარევში. აყვავილებული მცენარე მოითხოვს ტენიან ჰაერს, განათებულ ადგილს და ქოთნის ქვედა დრენაჟიდან ზომიერ რწყვას; ვერ იტანს მზის მცხუნვარე სხივებს, ჭარბ ტენს. კარგი იქნება თვეში ერთ-ორჯერ მოირწყას ფრინველის წუნწუხით.

**ირაკლი ხმალაძე,**
**ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.**

## ახალი წიგნები

**კუკური გოგიაშვილი**
**ათული და ბათული**

თქვენ და თქვენს უმცროს და-ძმებს, ბავშვებო, უთუოდ გსმენიათ პოეტ კუკური გოგიაშვილის სახელი, წაგიკითხავთ მისი ლექსები „დილაში", „ნორჩ ლენინელში", „პიონერში", ცალკე წიგნებადაც.

ახლახან „ნაკადულმა" გამოსცა პოეტის ახალი კრებული „ათული და ბათული", რომელშიაც ბევრი კარგი, მხიარული და ჭკუის სასწავლი ლექსია შეტანილი. ეს ლექსები სადა და სასიამოვნო წასაკითხავია, აი, მაგალითად. „არნახული ზეიმია, ხალხი ბედნიერია, ჭიკჭიკებენ ჩიტუნები, ყმაწვილები მღერიან: — გამარჯვების მაისია, ოდელია დელია! პირმომცინარ გოგო-ბიჭებს ყელი მოუღერიათ..."

წიგნში შეტანილია პოემა-ზღაპარი „ათული და ბათული", რომელიც ორი ცეტი დათუნიას თავგადასავალს მოგვითხრობს, აგრეთვე პიესები: „ვაშა, ვაშა ახალ წელს!" და „სტუმრები".





ეროვნული ბიბლიოთეკა



ქსოვით გატაცებულმა ადამიანმა იცის, რომ ძაფის გორგლად დახვევა არც ისე იოლი საქმეა. თურმე საამისოდ მაგნიტოფონის გამოყენება შეიძლება და აი როგორ:

დასახვევი ძაფი გადაბრუნებული სკამის ფეხებს წამოაცვი. იქვე მაგნიტოფონი დადგი. კასეტის ღერძულას რაიმე მილი ჩამოაცვი (შეგიძლია სქელი ქაღალდი მილივით დაახვიო და, რომ არ გაიშალოს, პირი დაუწებო) და ძაფის ბოლო ზედ დაამაგრე. მერე მაგნიტოფონი ჩართე და თუ გინდა კილომეტრობით ძაფს გადაახვევ.



პატარა ფანჯარაზე ფარდის ჩამოსაკიდებლად არ არის აუცილებელი კრონშტეინისათვის ჩარჩოზე ნახვრეტების ამოჭრა. კრონშტეინს თავსა და ბოლოში ქანჩხრახნი დაუყენე. იმ ქანჩხრახნებით კრონშტეინი შეგიძლია ისე გაჭედო, რომ ზედ მსუბუქი ფარდა კი არა, მძიმე შტორიც ჩამოკიდო.



რემინგტონზე დაბეჭდილ ან დაწერილ ფურცელზე ასოს გასასწორებლად ან დასვრილი ადგილის გასასუფთავებლად ჩვეულებრივ „ბრიტვას“ ან საშლელს ხმარობენ. საქმე უფრო გაიოლდება, თუ ამისათვის წებოვან ლენტს გამოიყენებ. გასასუფთავებელ ადგილს ლენტი დააჭირე და ქაღალდის სიფრიფანა ფენას გასაწმენდი ასო და ლაქაც აჰყვება.




ვიწრო ყელიანი პლაფონიდან ნათურის ამოღება მეტად საწვალებელია — ხელი ბოლომდე ვერ შედის შიგ, თანაც პლაფონის თხელი პირი კანს კაწრავს. დააკვირდი ამ სურათს და ნათურის მოსაძრობ მარტივ ხელსაწყოს შენც გააკეთებ.



## სარჩევი

ხერგიანი მ. — ნორჩების გამრჯე ხელებით (ნარკვევი) გარეკანის . . . . . . . 2-ე გვ.
ჯავახიშვილი ნ. — ზრუნვას დაფასება უნდა (წერილი) . . . . . . . . . 2
იოსელიანი ო. — მტრედებს გამოტანებული ბარათები, ანუ მუხლზე დაწერილი მოთხრობები (გაგრძელება) . . . . . . . . . 4
მეტრეველი თ. — ...და ყველაფერი იქნება კარგად (ნარკვევი) . . . . . . . . . . 11
ფორჩხიძე შ. — მზე პირს იბანს; აპრილი — დიდი მხატვარი; ორთავ თვალის სინათლევ! (ლექსები) . . . . . . . . . . 13
თომაძე მ. — დიდგორზე (მოთხრობა) . . . . 14
მოსწავლეთა შემოქმედება . . . . . 16
სცენაზეა „სხივი“. (ფოტორეპორტაჟი) . . 30
ხმალაძე ი. — ვამრავლოთ ყვავილები (წერილი) . 31
ახალი წიგნები . . . . . . . . . 31
გამოგადგები . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . გარეკ. მე-3 გვ.

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა აკაკი თევზაძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-03 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 27/IV-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-79 წ. ქაღალდის ფორმატი 60X90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 1281. ტირ. 150.700. უე 08288.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



© „პიონერი“, 1979 წ.

# კ რ ო ს ვ ო რ დ ი



**თარაზულად:** 1. ცნობილი მავზოლეუმი ინდოეთში; 3. თბილისის მეტროპოლიტენის სადგური; 7. თმის სალებავი; 8. ბერძნული მითიური ქალღმერთი; 9. საპყრობილე საფრანგეთში; 11. ქართველი კინორეჟისორი; 13. წყლის ცხოველი, რომლის სხეულს ახასიათებს ორმხრივი სიმეტრია; 15. პროფესია; 18. ავსტრალიური მრავალსერიიანი საბავშვო ფილმი; 19. მდიდრის სინონიმი ძველ შუა აზიაში; 20. ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოების მთავარი გმირი; 21. რკინა-ნახშირბადიანი შენადნობი; 23. აზერბაიჯანის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; 24. ნიკო ლომოურის ნაწარმოები; 26. მდინარე გერმანიაში; 28. საცობი; 30. ალ. ყაზბეგის ნაწარმოების გმირი; 32. ფერმენტი, რომელიც შლის სახამებელს და ხელს უწყობს მის გადაქცევას შაქრად; 35. კუნძული ჩრდილო ევროპაში; 36. დროის მონაკვეთი; 37. ბიზანტიის ქალაქი; 38. ხის ნაყოფი; 39. თვე; 42. ორგანიზმის შეუვალობა სენის მიმართ.

**შვეულად:** 1. ქალაქი შუა აზიაში; 2. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 4. სასმისი; 5. ძველი მექსიკური ტომი; 6. მდინარე შუამდინარეთში; 9. გერმანელი კომპოზიტორი; 10. რიცხვი; 11. თბური მოძრაობის შედეგად სხვადასხვა ნივთიერების მოლეკულათა ურთიერთშერევა; 12. გარეული ცხოველი; 13. კოოპერაციაში შეტანილი წილი; 14. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 16. ეგვიპტის ქალაქი; 17. საქართველოს რაიონული ცენტრი; 19. კომში, ანუ? 22. ნაცვალსახელი; 25. ი. ჭავჭავაძის ლექსი; 27. რ. ლაღიძის ოპერა; 29. ვაზის ერთწლიანი ტოტი; 31. თმა, რომელიც გამოიყენება ტექნიკაში; 33. ინგლისელი მწერალი; 34. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 36. ადამიანის სხეულის შინაგანი ორგანო; 40. საფრანგეთის საავტომობილო ფირმა; 41. თვალის ექიმი.

ნესტან მხეცაძე,
ქ. ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლის VI-ა კლასის მოსწავლე.



შარადები

კუდი ამკობს ბუთქუნა,
იკვებება თხილით, —
მარტოოდენ საწყისი
ასო გვინდა წყვილი.
თანაც ქამრის მეორე
სახელს მეტყვი ხელად,
შეკრებამდე შეცვალე
დასასრული ბგერა. —
იგი წვიმის ფარდაში
ნაირფერად ელავს.

თუ ორი გახლავს ლუწი,
სამი რაღაა მაშინ? —
აილე წყვილი ბგერა,
რომლებიც უზის თავში.
ბოლო ნაწილად დასვამ
კარგი ამინდის სახელს. —
ხე არის მარად მწვანე,
ნიავზე წიწვებს არხევს.

შოთა ამირანაშვილი

პასუხი № 5-ში მოთავსებულ ცხრაკლიტულზე

კროსვორდი

თ ა რ ა ზ უ ლ ა დ: 8. კომპონენტი; 9. სპირომეტრი; 10. ირისი; 11. ამირა; 12. ორიგინალი; 15. ასუანი; 18. მაიორი; 19. რადიოლა 20. პალეოგრაფია; 21. სტრატოსფერო; 23. ამირანი; 26. პალატა; 27. ანემია; 30. ავტონომია; 31. ამალა; 33. ესერი; 34. ფანტასტიკა; 35. ეთნოგენეზი.

შ ვ ე უ ლ ა დ: 1. კომპრომისი; 2. კოდიფიკაცია; 3. მოტოროლერი; 4. ანტი; 5. სტვირი; 6. აპრილი; 7. მოლა; 13. ინკოგნიტო; 14 საქმოსანი; 16. მაოიზმი; 17. პლატონი; 22. ნარკომანია; 24. მილიარდერი; 25. პრეტენდენტი; 28. ევრიკა; 29. ჩინეთი; 32. აისი; 33. ერგი.

გამოცანები

გუთანი, აქლემი, ღვინო.
ყაყაჩო, გვირილა.

შარადები

1. ბუკი;
2. კოკა; ოკა;
3. ჩალა.

## გამოცანები

ყვავილი ვარ, მგრძნობიარე,
ბევრი რამე მაშინებს,
ვინმემ ხელი თუ შემახო,
ფოთლებს ვკეცავ მაშინვე.

სამყაროს ყველა
კუნჭულს მისწვდება;
უჩინარია...
თქვი, რა იქნება?

რა საოცრად ალამაზებს
იგი ქვას თუ ხეს,
ხელთ უპყრია მოქანდაკეს
და ჩუქურთმის მჭრელს.

როცა ცხელა, სწორედ მაშინ
ის ყინულის მოდის წვიმად,
დედამიწას ეფინება
მარგალიტის ურიცხვ მძივად.

ალექსი ნამორაძე

ორი თვალი, ორი რქა,
ხარიხა გადებული,
უზანგები თვალებზე,
ქვევით დაკიდებული.

თეთრი ბამბის ქულა
სველი და ბუნჩულა,
დედას გამოპარვია
ციდან ჩამოსულა.

ჟ. ნიკოლეიშვილი

ა. 1../102
76157
ეროვნული ბიბლიოთეკა




მოსწავლეთა



შემოქმედება

ბამზე. ქეთინო ჭანტურია.

კომკავშირული მშენებლობა. ლერი ზიზიაშვილი, არჩილ მელქაძე.

